გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 56
(11 616)

23 – 25 ივლისი, 2002 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მინდორაშვილი და კურტანიძე გამარჯვებულები!


რ. მინდორაშვილი



ვლადიკავკაზში დასრულდა ოლეგ ნანიევის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. საქართველოდან ფილა-ს ეგიდით გამართულ ამ ასპარეზობაში 18 ფალავანი მონაწილეობდა. ტურნირის გამარჯვებულთა შორის ორი ჩვენი მოჭიდავეა. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგნენ გურჯაანელი რევაზ მინდორაშვილი (84 კგ) და სოხუმელი ელდარ კურტანიძე (97). მესამე საპრიზო ადგილი ხვდა წილად თბილისელ დავით ოთიაშვილს (მძიმე).

ჩვენი მოჭიდავეების სამივლინებო ხარჯები გაიღო საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ (პრეზიდენტი გ. ძასოხოვი).

## ნიკოლოზ ცქიტიშვილმა „დენვერთან“ 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა

ბევრი გაწამაწიის შემდეგ ნიკოლოზ ცქიტიშვილმა ოფიციალური 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა ნბა-ს კლუბ „დენვერ ნაგითსთან“. კონტრაქტის თანახმად, ქართველი კალათბურთელი 3 წლის განმავლობაში მინიმუმ 6,73 მილიონ დოლარს მიიღებს.

ცქიტიშვილმა უკვე ჩაატარა პირველი მატჩი თავისი ახალი კლუბის შემადგენლობაში: „დენვერი“ საზაფხულო ლიგის თამაშების ეგიდით ცნობილ კლუბ „იუტა ჯაზს“ შეხვდა. ცქიტიშვილი ამ შეხვედრაში საუკეთესო იყო მოედანზე. მან „დენვერს“ 16 ქულა შესძინა და დიდი წვლილი შეიტანა „დენვერის“ საბოლოო გამარჯვებაში — 64:53.



## ნომერში:

- გია კვარაცხელია – აშშ-ის საუკეთესო მწვრთნელი ფარიკაობაში!..
- ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის რეგლამენტი
- „პელეს ფეხბურთის არაფერი გაეგება“ – ამბობს სკოლარი
- მურთაზ ხურცილავას თასი — პოლიციაში!
- ფიფას წარმომადგენელი კმაყოფილია
- სფფ-ს ოფისის გახსნაზე, უეფას პრეზიდენტსაც მოელიან.
- ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი ტრანსფერები.

## პეტრიაშვილი სფფ-ს უჩივის

**გუშინდელი სასამართლო პროცესი კიდევ ერთი გაგრძელებაა წინა საყრილობო ციებ-ცხელებისა. ყრილობის მოახლოებასთან ერთად ვითარება სულ უფრო იძაბება. მხარეთა მოთხოვნები უკომპრომისო და კატეგორიული ხდება.**

დიდუბე – ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ დაიწყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის დავით პეტრიაშვილის სარჩელის განხილვა, რომლითაც იგი სფფ-საგან ითხოვს შემდეგს: სფფ-ს ყველა სუბიექტს ჰქონდეს თითო გადამწყვეტი ხმა, აღდგეს ბავშვთა ფეხბურთის წარმომადგენელთა ხმები და კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება ჩამოერთვას სფფ-ს აღმასკომის წევრებს.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა სფფ-ს წარმომადგენლის შუამდგომლობა აღნიშნული საკითხის ფიფას არბიტრაჟის დაქვემდებარების შესახებ და სარჩელის განხილვაზე გადავიდა. სასამართლომ მოუსმინა მოსარჩელე და მოპასუხე მხარეებს და დღეს, დილით, მხარეებს გააცნობს გადაწყვეტილების სარეზოლუციო (დასკვნით) ნაწილს, ხოლო ორი კვირის ვადაში სრულად გამოქვეყნდება სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილება.





## მილოცვები



საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიურ ჩემპიონს, მსოფლიოს ორგზის და ევროპის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საქართველოს მოჭიდავეთა მძლავრი და სახელოვანი ოჯახის ღირსეულ წარმომადგენელს ვახტანგ ბლაგიძეს.

* **

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვახტანგ ბლაგიძეს.

## სფფ-ს ოფისი სავარაუდოდ აგვისტოში გაიხსნება

სფფ-ს თავკაცები შეიძლება თურქეთ-საქართველოს ნაკრებთა ამხანაგურ მატჩს ვერ დაესწრონ. მიზეზი მეტად საპატიო და საზეიმოა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ოფისი სავარაუდოდ 20 აგვისტოს გაიხსნება. უკვე გარკვეულია, 19-დან 21 აგვისტომდე თბილისში ჩამოვა უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუხანსონი, რომელიც ოფისის პრეზენტაციას დაესწრება.

## ვალერი ჩუხრი ვიზიტით კმაყოფილია და 12 ოქტომბრის მოლოდინშია

**ადრეც გაუწყეთ, თბილისში ვიზიტს გეგმავდა ფიფას ფეხბურთის განვითარების პროგრამა „გოლის“ შეფი დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებში ვალერი ჩუხრი. სტუმარი საქართველოს დედაქალაქშია და გუშინ ჟურნალისტებსაც შეხვდა. მისი საუბარი მასმედიასთან საკმაოდ ვრცელი და საინტერესო გამოდგა.**

„პირველ ეტაპზე პროგრამა „გოლი“ ოთხ წელზე იყო გათვლილი და ახლა დასრულების სტადიაშია. 111-მა ფიფას წევრმა ქვეყანამ მიიღო პროგრამით გათვალისწინებული დახმარება. საწყის ეტაპზე დსთ-ს ქვეყნებიდან პროგრამაში ჩაება 14 სახელმწიფო, არ მონაწილეობდა მხოლოდ უკრაინა. პროგრამა ძირითადად ითვალისწინებს საწვრთნელი ცენტრების, ბავშვთა საფეხბურთო ბაზების და საფეხბურთო მინდვრების მშენებლობებს. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი ჩაება პროგრამაში და დღეს წარმატებით ასრულებს პირველ ეტაპს. ჩემი ვიზიტის მიზანი იყო გავცნობოდი ნაკრებების ტექნიკური ცენტრის მშენებლობის მიმდინარეობას. ცენტრს, წლეულს, დეკემბრის ბოლოს ჩავიბარებთ, მაგრამ საზეიმოდ გავხსნით, ალბათ, მარტში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის და მოვიწვევთ ფიფას პრეზიდენტს იოზეფ ბლატერს, რომლის ჩამოსვლის ზეპირი თანხმობა უკვე მიღებული აქვს სფფ-ს.



ნოემბერში ახალი პროგრამა „გოლი“ შემუშავდება და დამტკიცდება, რომელიც „ადისასთან“ ერთად განხორციელდება.

მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ სფფ ერთ-ერთი საუკეთესო და მზარდი ფედერაციაა. ქართული ფეხბურთის მესვეურთა რეალური მუშაობის დადებითი შედეგები თვალსაჩინოა. თქვენი მუშაობა სწორი მიმართულებით ხორციელდება“.

სტუმარი დაფინანსების წყაროებსაც შეეხო. — „პროგრამა „გოლი“ მთლიანად ფედერაციებს ეკუთვნის. თანხები მათთან პირდაპირ არ მიდის, ისინი ერიცხებათ უშუალოდ სამუშაოთა შემსრულებლებს. ფედერაციები დამკვეთები არიან და ღებულობენ მზა პროდუქტს“.

ტექნიკური ცენტრის მშენებლობის სრულ ღირებულებაზე განმარტება გააკეთა სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ: — „ნაკრების საწვრთნელი ტექნიკური ცენტრი სულ მილიონი დოლარის ღირებულებისაა, აქედან 500 ათასი ფიფასია, 400 ათასი პროგრამა — „გოლიდან“ მივიღეთ, 100 ათასი კი თავად სფფ-მ გაიღო“.

ვალერი ჩუხრი ჟურნალისტებს გაღიმებული და კმაყოფილი დაგვემშვიდობა და ბოლოს ეს თქვა — „წლეულს კიდევ გეწვევით, წინ დიდი, „საუკუნის“ მატჩი გველის, 12 ოქტომბერს საქართველოსა და რუსეთის ეროვნულ ნაკრებთა შესარჩევ მატჩზე შეხვედრამდე!“

## გაბედნიერებულ ზაზა ჯანაშიას ევროპული კლუბები ეპატიჟებიან

მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფორვარდი, 27 წლის ზაზა ჯანაშია უკვე ოთხი თვეა, რაც არენდით განათხოვრებულია თბილისის „ლოკომტივში“, რომლის ღირსებასაც კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში დაიცავს. ამ დღეებში ზაზა ჯანაშია დაქორწინდა თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტ შორენა მაისურაძეზე, რომელიც ფეხბურთელის თქმით, პირველ დანახვისთანავე შეუყვარდა.

თავად შორენა აცხადებს, რომ მას ფეხბურთი არ იტაცებდა, თუმცა ზაზა ჯანაშიას შესახებ ბევრი რამ სმენოდა. „არასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ფეხბურთელის მეუღლე გავხდებოდი“ – განაცხადა შორენა მაისურაძემ. ის ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ ამიერიდან ზაზას მონაწილეობით ყველა მატჩს ნახავს.

ზაზა ჯანაშიას გაბედნიერება ტელეფონით მიულოცა მოსკოვის „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმა. ამ უკანასკნელის განცხადებით, ქართველი ფორვარდისადმი ინტერესს რამდენიმე ევროპული კლუბი იჩენს, – იუწყება იტარ-ტასი.

## ალპინისტთა პრესკონფერენცია

დღეს, 23 ივლისს, ალპურ კლუბში (ვერის ბაღი), 17 საათზე ჩატარდება პრესკონფერენცია ქართული ექსპედიციის მიერ უშბა-სვანეთის ორივე წვერის ტრავერსის დალაშქვრასთან დაკავშირებით.

## ცსკა იყიდება!

უახლოეს ხანში მოსკოვის ცსკა-ს ხელმძღვანელობა აპირებს აუქციონზე გამოიტანოს ფეხბურთელთა გუნდის აქციები.

**არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ასეთი გადაწყვეტილება, სპეციალისტთა აზრით, კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება რუსული კლუბების ევროპულ დონეზე მიახლოების გზაზე. ამჟამად, ცსკას აქციების 51 პროცენტი რუსულ მხარეს ეკუთვნის — გაერთიანება „ავო-კაპიტალს“ (26 %) და თავდაცვის სამინისტროს (25 %). დანარჩენ 49 %-ს ფლობს ინგლისური კომპანია „ბლუ კასტლი“.**

## „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ბოკა ხუნიორსი“ საქველმოქმედო მატჩს ითამაშებენ

აგვისტოში საფეხბურთო კლუბები „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) და არგენტინული „ბოკა ხუნიორსი“ ამხანაგურ საქველმოქმედო მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს. თამაში მანჩესტერში „ოლდ ტრაფორდზე“ შედგება. სხვათა შორის, „ბოკა ხუნიორსისათვის“ ეს იქნება პირველი მატჩი ინგლისის ტერიტორიაზე. მატჩის შემოსავალი მთლიანად გადაეცემა იუნისეფის ბავშვთა ფონდს.



## 23 ივლისი თენგიზ სულაქველიძის დაბადების დღეა!

3

## შუმახერი — რეკორდსმენი!



6

# მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 1 თვე დარჩა

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

# ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 7 თვე გვაშორებს

torino 2006

## მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!

# თბილისის მერია — ბავშვებს!






თავსდამტყდარი მიწისძვრით, თბილისში, მრავალი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. იმ ღონისძიებათა შორის რეაბილიტაციას ითვალისწინებს თბილისის მერის ვანო ზოდელავას ინიციატივით, სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური (უფროსი დ. ჰელიძე, მოადგილე ტურიზმის დარგში გ. ბალაშვილი) ბავშვებისთვის საზაფხულო დასასვენებელი ტურები მოეწყობა — პირველებს გეოლოგიურ ინსტიტუტში განთავსებული მიწისძვრით დაზარალებულ ოჯახებს გაუწოდეს დახმარების ხელი. ბავშვები ურეკში ორი კვირით დაისვენებენ. კვება სამჯერადია, მოეწყობა ექსკურსიები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. ურეკში ბავშვების სხვადასხვა კონტიგენტი სამ ტურად დაისვენებს.

## მძლეოსნობა ● საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

*კვარცხლბეკი. ქალები. რბენები.* ***100 მ:*** მ. ინაშვილი — 12,5, თ. ესებუა — 12,6, ა. ნიკოლაიშვილი (სამივე — თბ) — 13,0; ***200 მ:*** ე. ტყემალაძე (თბ-ოზურგ) — 25,0, ინაშვილი — 25,6, თ. თავაძე (ორივე — თბ) — 28,2; ***400 მ:*** ტყემალაძე — 57,4, თ. ფაცაცია (ცანი) — 1.04,9, ე. მგელაძე (თბ) — 1.05,2; ***800 მ:*** ნ. თათრულაიძე (ახმ) — 2.23,4, ქ. კუპატაძე (თბ) — 2.32.0, ფაცაცია — 2.32,1; ***1500 მ:*** თათრულაიძე — 5.01,9, ნ. გუთანაიძე (ახმ) — 5.15,4, ნ. გელაშვილი (ბორჯ) — 5.25,3; ***3000 მ:*** გუთანაიძე — 11.15,4, გელაშვილი — 12.02,0, ნ. შერაზადაშვილი (ახმ) — 12.31,5; ***5000 მ:*** გუთანაიძე — 21.52,6, შერაზადაშვილი — 22.40,1 (ორი მონაწილე); ***თარჯი 400 მ:*** ესებუა — 1.04,5, დ. ქადანი (ბორჯ) — 1.21,5 (ორი მონაწილე); ***ესტაფეტა 4X100 მ:*** თბილისი (დუბინა, ინაშვილი, ნიკოლაიშვილი, ესებუა) — 49,7, თბილისი (II გუნდი: ხვედელიძე, ბერიძე, მანჯგალაძე, მაჭავარიანი) — 55,8, ბორჯომი (გავა, რევაზიშვილი, მგარიაშვილი, რევაზიშვილი) — 56,0; ***ესტაფეტა 4X400:*** თბილისი (დუბინა, ინაშვილი, ტყემალაძე, ესებუა) — 3.58,2; ***სიმაღლე:*** ი. დარახველიძე (თბ) — 165 სმ; ***ბადრო:*** ნ. ელიზბარაშვილი (თბ) — 36,20, მ. ქეხიშვილი (გარდ) — 32,00; ***სამხტომი:*** დუბინა — 12,42, ი. ხოროშევა (თბ) — 11,77; ***შუბი:*** ლ. უთიაშვილი — 32,00, ო. იევლევა (ორივე — თბ) — 30,03, მ. თუთისანი (აფხ-ქუთ) — 29,04; ***ბირთვი:*** ქეხიშვილი — 14,30, ელიზბარაშვილი — 11,30, თ. ჯაფარიძე (თბ) — 8,50; ***სიგრძე:*** დუბინა — 5,58, ნ. ჯანელიძე — 5.47, ხოროშევა (სამივე — თბ) — 5,32.

***ვაჟები. 100 მ:*** შ. მამუდოვი (ბათ) — 10,6, ლ. გაბუნია (თბ) — 11,5, ბ. გიორბელიძე (ქუთ) — 11,6; ***200 მ:*** რ. მანუკიანი (თბ) — 22,8, დ. ციცქორიძე (ბორჯ) — 23,2, ა. კირვალიძე (თბ) — 23,9; ***400 მ:*** მანუკიანი — 52,0, ქ. ბაიკეევი — 53,8, კირვალიძე (სამივე — თბ) — 54,0; ***800 მ:*** ი. ჯააძე (ახმ) — 2.01,3, ა. მეტრეველი (თბ) — 2.03,2, დ. გელაშვილი (საგარ) — 2.04,4; ***1500 მ:*** ჯააძე — 14.17,5, გელაშვილი — 4.23,8, მეტრეველი — 4.30,1; ***3000 მ:*** ზ. ზილბერშტეინი (ახალც) — 8.52,7, ჰ. მამიკონიანი (თბ) — 9.37,9, ლ. თელაურიძე (ახმ) — 10.04,0; ***5000 მ:*** ზილბერშტეინი — 15.42,2, მამიკონიანი — 16,46,9 ა. სარქისიანი (თბ) — 18.18.8; ***თარჯი 110 მ:*** ს. ტურიატკო (ქუთ) — 13,9, დ. ილარიანი (გარდ) — 14,0, ციცქორიძე — 16,6; ***თარჯი 400 მ:*** ტურიატკო — 58,3, ციცქორიძე — 1.01,8, კირვალიძე — 1.03,5; ***ესტაფეტა 4X100:*** თბილისი (გაბუნია, ამირანაშვილი, ქარდავა, ხუციშვილი) — 46,6, ოზურგეთი (თალაკვაძე, დარჩია, თავართქილაძე, გორდელაძე) — 51,4; ***ესტაფეტა 4X400 მ:*** თბილისი (მეტრეველი, ბაიკეევი, კირვალიძე, მანუკიანი) — 3.40,0; ***სიმაღლე:*** გ. მასიურაძე — 175, ვ. ზოხელი (ორივე — გარდ) — 170, დ. ძირტკბილაშვილი (ქარელი) — 160; ***სამხტომი:*** ბ. დანელია (თბ) — 13,38, ვ. მახარაძე (ქუთ) — 13,25; ***შუბი:*** ზ. შეთეკაური (თბ) — 66,80, გ. ღვთისიაშვილი (მცხეთა) — 56,90, გ. გოგოლაძე (თბ) — 50,50; ***ბირთვი:*** მ. ტუღუში (ოზურგ) — 17,35, ა. ბიწაძე (აფხ) — 15,55, ბ. აბრამიანი (თბ) — 13,54; ***სიგრძე:*** ილარიანი — 7,12, გ. ამირანაშვილი (თბ) — 6,25, ნ. ბიჭაშვილი (ქუთ) — 5,98; ***ბადრო:*** ტუღუში — 43,80, გ. ბედოშვილი (თბ) — 37,30, ძირტკბილაშვილი — 28,20.



*მარცხნიდან: მარიამ ინაშვილი, ეკატერინე ტყემალაძე, იულია დუბინა, თამარ ესებუა*



*მარცხნიდან: რომა მანუკიანი, დავით ციცქორიძე, ამირან კირვალიძე*

# თანამემამულე კანზასის შტატიდან

«ლელოს» სტუმარი

**მეოცე საუკუნის მიწურულს მსოფლიოს სახეცვლილებამ, როცა ღია ურთიერთობების პერსპექტივა გადაიშალა ორ ბანაკად გაყოფილი კაცობრიობის წინაშე, საზღვრები პატარა საქართველოსთვისაც გაიხსნა. მის შვილებს დღეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შეხვდებით.**

გია კვარაცხელია 7 წელიწადია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. ყველაფერი მოხდა მოულოდნელად. 1994 წელს გია, როგორც რაპირაში საქართველოს ნაკრების წევრი, მოფარიკავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე გამოდიოდა ნიუ-იორკში. სწორედ იქ შესთავაზეს მწვრთნელად ემუშავა აშშ-ში. დათანხმდა. ოღონდ, 1994-1998 წლებში სპორტულ სარბიელზე, თავადაც გამოდიოდა ადგილობრივ შეჯიბრებებში. აშშ-ს ღია პირველობებში ხუთეულში შედიოდა ყოველთვის. სამოღვაწეოდ და სამუშაოდ თავიდანვე კანზასის შტატის ქ. კაზანსიტში აღმოჩნდა — საფარიკაო ცენტრში. 1996 წლის ბოლოდან კი ამავე შტატის ქალაქ სოლაინაშია ძირითადად ბავშვების მწვრთნელად. „ეს პატარა, ზესტაფონის ტოლი ქალაქია 45 ათასი მოსახლით. ძალიან კარგი ხალხი ცხოვრობს, როგორც ყველგან ამერიკაში, აქაც დიდ პატივს სცემენ პროფესიონალ სპეციალისტებს" — გვითხრა ჩვენს რედაქციაში სტუმრად მოწვეულმა **გია კვარაცხელიამ.**

● ***გია, ალბათ სტუმრად ხართ მშობლიურ თბილისში.***

— დიახ, ასე ვთქვათ, საზაფხულო არდადეგებზე ჩამოვედი.

● ***ძნელი იყო შეგუება უცხო გარემოსთან?***

— თუ საქმეში ხარ ჩართული, თანაც ისეთ საქმეში, რომელიც შენი მოწოდებაა, ჩემი აზრით, თავს ყველა კარგად უნდა გრძნობდეს. ახლობლების, მეგობრების, შენი ქვეყნისა და ქალაქის მონატრება კი, ალბათ, საერთოდ, ფიქრების თანამდევია.

● ***თუმცა, ოფიციალურად, მუშაობთ და ცხოვრობთ, რაიმე შეზღუდვები ხომ არ გაქვთ, როგორც უცხოელს?***

— მიღებული მაქვს ე.წ. „მწვანე ბარათი", რაც, ცხადია, გარკვეულ უფლებებს ითვალისწინებს.

● ***ბავშვებს როგორ არჩევთ ფარიკაობისთვის?***

— არავითარი შერჩევა, ვისაც აქვს სურვილი, ყველა მოდის, ოღონდ, შესაბამისი დონის ჯგუფში მეცადინეობს.

● ***უბრალოდ, გამაჯანსაღებელი ჯგუფებიცაა?***

— დიახ არის, მაგრამ თუ ვინმე აქ გამოიჩენს თავს, დასაოსტატებლად ყველა პირობა ექნება.

● ***ჯერ თუ მოასწარით მაღალი დონის მოფარიკავეთა აღზრდა?***

— როგორ არა. ჩემი ორი მოსწავლე იუნიორთა შორის მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპებში მონაწილეობდა ინგლისსა და ესპანეთში.

● ***შედეგები?***

— 16 საუკეთესოთა შორის მოხვდნენ, რაც სულაც არაა ცუდი შედეგი ახალბედებისთვის.




*გია კვარაცხელია ამერიკული გაზეთის პირველ გვერდზე*

● ***ქვეყნის პირველობაში ალბათ უკეთესი მიღწევები გექნებათ...***

— ბოლო სამ წელიწადში ჩემმა შეგირდებმა 30-მდე მედალი მოიპოვეს ამერიკის პირველობებში. სოლაინის რაპირით მოფარიკავეთა გუნდმა ორჯერ მოიგო ქვეყნის პირველობა. „მწვანე ბარათი" მაძლევს უფლებას მონაწილეობა მივიღო შეჯიბრებებში ამერიკის სახელით და შეგირდებთან ერთად მეც გავდივარ საფარიკაო ბილიკზე. ძალიან საინტერესო მოვლენად ითვლება ამერიკაში.

● ***საქართველოს სახელით თუ გიასპარეზიათ, რაც ამერიკაში ხართ?***

— 1998 და 1999 წლებში საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრებში გამოვდიოდი შვეიცარიასა და კორეაში მსოფლიოს პირველობაზე.

● ***როგორია თქვენი დღევანდელი ურთიერთობა საქართველოს ფარიკაობის სამყაროსთან?***

— ვცდილობ ხელი შევუწყო ორი ქვეყნის ორმხრივ სასარგებლო საფარიკაო ურთიერთობას. 1998 წელს ამერიკელ მოსწავლე მოფარიკავეთა ნაკრები ბათუმში მყავდა გაერთიანებულ შეკრებაზე. ეს იყო ნამდვილი დღესასწაული. ქართველი და ამერიკელი ბავშვების ერთობლივ შეკრებაში დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ, პირადად მორის სახვაძემ, ცნობილმა მწვრთნელმა ლუდვიგ ლალანიძემ, აჭარის ფარიკაობის ფედერაციამ.

● ***როგორია ორგანიზებული აშშ-ი ფარიკაობის მასობრიობა?***

— უამრავი სკოლა და კლუბი მუშაობს, ძირითადად მოზარდებისთვის. ყოველ ზაფხულს ტარდება მასობრივი შეჯიბრება მოსწავლეთა და იუნიორთა მონაწილეობით. ბოლო ასპარეზობაში, ფარიკაობის ყველა პროგრამაში მონაწილეობდა 3000-მდე მოფარიკავე. ტარდება ყოველწლიური კონგრესი, სადაც ისახება ქვეყანაში ფარიკაობის განვითარების სტრატეგიული გეგმა, ამ კონგრესზე აჯილდოებენ საუკეთესო მწვრთნელებს.

● ***ჩვენ უკვე გავეცანით თქვენს მიერ ჩამოტანილ ამერიკულ პრესას, სადაც აღნიშნულია, რომ თქვენ წლეულს დასახელდით ამერიკაში მოსწავლეთა და იუნიორთა საუკეთესო მწვრთნელად. გილოცავთ! დაწვრილებით რას გვეტყოდით?***

— თავისთავად დიდი პატივია გცნონ ამხელა ქვეყანაში საუკეთესო მწვრთნელად. ეს ჩემთვის გარკვეულწილად მოულოდნელი იყო. გამარჯვებული ვლინდება, ცხადია, გაწეული მუშაობის შედეგებით, სპეციალისტთა აზრის გათვალისწინებით, მწვრთნელის, როგორც პედაგოგის საქმიანობის შეფასებით. კონგრესის შემდეგ გაიმართა 300-კაციანი ბანკეტი. აშშ-ის ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტმა სწორედ იქ გადმომცა საუკეთესო მწვრთნელის სერტიფიკატი.

● ***არ გვაგონდება სხვა შემთხვევა, კიდევ ვინმე ჩვენიანს ხვდა თუ არა უცხო ქვეყანაში აღიარების ასეთი პატივი. კიდევ ერთხელ გილოცავთ! მინდა გკითხოთ, მაინც რამ განაპირობა თქვენი ასეთი წარმატება?***

— 1988 წლიდან 1994 წლამდე ვიყავი საქართველოს მოსწავლეთა და იუნიორთა ნაკრები გუნდის წევრი, გავხდი საქართველოს ჩემპიონი, თასის მფლობელი, სხვადასხვა შეჯიბრებებში გამარჯვებული და პრიზიორი. 1992 წელს პორტუგალიაში ევროპის პირველობაზე გამოვდიოდი, მაშინ პირველად გავიდა ჩვენი ნაკრები საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით. 1993 წელს მეორე პრიზიორი გავხდი ირანის საერთაშორისო ტურნირზე.

დავამთავრე ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტი. უცხოეთში საბჭოთა ფიზკულტურის ინსტიტუტებში მომზადებულ კადრებს ყველგან დიდ პატივს სცემენ, რადგან ამზადებდა უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს. ძალიან დიდი პრაქტიკული გამოცდილება შემძინა ჩემმა მწვრთნელმა გია აბაშიძემ, რისთვისაც მისი დიდი მადლობელი ვარ. ამჟამად ისიც ამერიკაში მუშაობს.

● ***საკუთარი ოჯახი თუ გყავთ?***

— ახლა ვაპირებ ცოლის შერთვას. საცოლე ამერიკელია, ჯვრის დასაწერად აუცილებლად საქართველოში ჩამოვალთ.

● ***საბოლოოდ ამერიკაში აპირებთ დარჩენას?***

— არავითარ შემთხვევაში. საცხოვრებლად იქ დარჩენას არ ვაპირებ. აუცილებლად დავბრუნდები სამშობლოში, მომავალ მეუღლესთან ამაზეც შეთანხმებული ვარ...

ესაუბრა
თ. თომაშვილი.



# თენგიზ სულაქველიძე – ფეხბურთიდან ფეხბურთში

**საქართველოს გუნდებში არაერთი ფეხბურთელი მოსულა განუმეორებელი ხელწერით და სამარადჟამოდ დაუმკვიდრებია ადგილი სამამულო ფეხბურთის ისტორიაში თავისი კლასით, შემართებით თუ პიროვნული ღირსებებით. სწორედ ასეთ ფეხბურთელთა ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია თენგიზ სულაქველიძე.**

დაიბადა 1956 წლის 23 ივლისს. თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა ნაკრების უძლიერეს მცველად ითვლებოდა. ყოფილ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში 279 მატჩი ითამაშა და 21 გოლი გაიტანა. 1979 წელს საბჭოთა კავშირის თასი მოიპოვა. ოთხჯერ მოხვდა „33 საუკეთესოთა" შორის, აქედან, სამჯერ — პირველ ნომრად.

თბილისის „დინამოსთან" ერთად 1981 წელს მიაღწია უდიდეს წარმატებას — მოიპოვა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში 49 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა. 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა, 1988 წლის ევროპის პირველობაზე კი ვერცხლის მედალი. გარდა ამისა, თენგიზ სულაქველიძე მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც მონაწილეობდა.

1989 წლის სეზონი სულაქველიძემ შვედურ საფეხბურთო კლუბ „ჰოლმსუნდში" გაატარა.

სულაქველიძე თბილისის „დინამოში" 1978 წლის სეზონის მიწურულს გამოჩნდა, როცა საქართველოს პირველ გუნდს ცხარე ბრძოლა ჰქონდა გამართული საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედლებისათვის. მაშინ, ტრავმების გამო „დინამოს" დაცვის ხაზს რამდენიმე მოთამაშე გამოაკლდა. სწორედ ამ დროს იყო ახალი გადმოსული ქუთაისის "ტორპედოდან" „დინამოში" თენგიზ სულაქველიძე. მას ენდნენ და წარმატებითაც გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. ის საიმედოდ თამაშობდა, როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ფლანგზე, საჭიროების შემთხვევაში, ნახევარდაცვაშიც აქტიურობდა. „დინამოში" ჩატარებული მატჩების მცირე რაოდენობა რომ არა, იმ წელს სულაქველიძეც მიიღებდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედალს... სამაგიეროდ, მან თქვა თავისი სიტყვა და მყარად დაიმკვიდრა ადგილი „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში.

ბევრი თვლიდა, რომ სულაქველიძე არ განასახიერებდა ქართული საფეხბურთო სკოლის ტიპიურ წარმომადგენელს, რაშიაც ძირითადად იმპროვიზაცია და არტისტიზმი მოიაზრება. სულაქველიძის სათამაშო სტილი ცოტა მოუხეშო, მაგრამ კოორდინირებულად სწრაფი იყო. გამოირჩეოდა, როგორც ძალისმიერი თამაშის მიმდევარი. მისი ტექნიკა ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ უაღრესად რაციონალური იყო. კარგად თამაშობდა თავით, სწრაფად ერკვეოდა სიტუაციაში, ზედმიწევნით ასრულებდა დაკისრებულ ამოცანებს. გაჭირვების ჟამს ის მუდამ ახალ ძალას შთაბერავდა გუნდს. 1981 წელს, ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი „ფეიენოორდთან" მის ერთგვარ ბენეფისად იქცა. თენგიზმა ორი გოლი გაიტანა მეტოქის კარში, რითაც უზრუნველყო თბილისის „დინამოს" გასვლა თასის ფინალში.

ასეთივე უაღრესად საჭირო საპასუხო გოლი გაიტანა მან ირლანდიის ნაკრების კარში 1986 წლის ევროპის ჩემპიონატზე, საბჭოთა კავშირის ნაკრებს ერთი ქულაც მოაპოვებინა და შემდგომ ეტაპზე თამაშის შანსიც შეუნარჩუნა.

დიდი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ნიჭიერ ფეხბურთელს საფეხბურთო სამყარო არ მიუტოვებია — ყველაზე საპატიო საქმეს — ბავშვთა დაოსტატებას მოჰკიდა ხელი. მისი შეგირდები წარმატებით გამოდიან სხვადასხვა შეჯიბრებებში. დააარსა საფეხბურთო აკადემია, რომელიც მის სახელს ატარებს. ქართული ფეხბურთის მომავალს ამ აკადემიაში დაფრთიანებული არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი დაამშვენებს და გააძლიერებს.

დღეს თენგიზ სულაქველიძის დაბადების დღეა.

ვულოცავთ!



შეტევაში თენგიზ სულაქველიძე

# „დინამომ" „ვალდჰოფი" დაამარცხა

**გერმანიაში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ" ქალაქ რუიტში მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და კვლავ გაიმარჯვა. დინამოელებმა ამჯერად ობერლიგის ბინადარ „ვალდჰოფს" მოუგეს ანგარიშით 2-1.**

თავდაპირველად გერმანელები დაწინაურდნენ ევერალდოს მიერ 34-ე წუთზე გატანილი გოლით. 8 წუთში ბურდულმა გაათანაბრა ანგარიში, ხოლო პირველი ტაიმის მიწურულს ვიტალი დარასელიამ გამარჯვების გოლი გაიტანა „ვალდჰოფის" კარში.

ამ შეხვედრაში „დინამო" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გვარამაძე (ზოიძე), შაშიაშვილი, ვაშაკიძე (მაზიაშვილი), ამისულაშვილი (შავგულიძე), სახვაძე (კანდელაკი), კარლოსი (სამხარაძე), ბურდული, ანჩაბაძე (კვირკველია), გოგობერიშვილი, დარასელია (დევიდი), ბობოხიძე (მიქაძე).

# განაცხადების დროც მოახლოვდა...

თანდათან გვიახლოვდება ახალი სეზონი და სფფ-ც ჩემპიონატში მონაწილეთაგან ტრადიციისამებრ განაცხადებს ითხოვს. უმაღლესი ლიგის პირველობა 3 აგვისტოს დაიწყება, მანამდე გაგაცნობთ თუ რომელმა კლუბმა, როდის და რა დროს უნდა წარადგინოს საბუთები სფფ-ში.

**უმაღლესი ლიგის გუნდების განაცხადის მიღების დღეები:**

| *27 ივლისი* | *29 ივლისი* | *30 ივლისი* |
| --- | --- | --- |
| დინამო თბ. 10.00 | დინამო ბთ. 10.00 | სიონი 10.00 |
| ლოკომოტივი 12.00 | კოლხეთი 1913 12.00 | მილანი 12.00 |
| მერანი 91 14.00 | მეტალურგი 14.00 | დილა 14.00 |
| ტორპედო 16.00 | ვიტ. ჯორჯია 16.00 | გორდა 16.00 |

# თარიღი

1966 წლის 23 ივლისს, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზე ინგლისში (სანდერლენდი) საბჭოთა ნაკრებმა ანგარიშით 2-1 მოუგო უნგრეთის ნაკრებს, დაიკავა მეოთხე ადგილი, რითაც, ფაქტობრივად, მიიღო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლების დაუფლების გარანტია. მესამე ადგილისათვის მატჩი კი საბჭოთა ნაკრებმა წააგო პორტუგალიასთან 1-2, 28 ივლისს ეს იყო საბჭოთა ნაკრების ყველაზე თვალსაჩინო მიღწევა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატებში.

საბჭოთა ნაკრების განაცხადში შედიოდნენ: აფონინი, ბანიკოკი, ბანიშევსკი, გეტმანოვი, დანილოვი, ვორონინი, იაშინი, კავაზაშვილი, კორნეევი, მალოფეევი, მარქაროვი, მეტრეველი, ოსტროვსკი, პონომარიოვი, პარკუიანი, საბო, სერებრიანიკოვი, სიჭინავა, შესტერნიოვი, ჩისლენკო, ხურცილავა, ჰუსაინოვი. უნგრელებთან მატჩში არც ერთ ქართველ ფეხბურთელს არ უთამაშია. პორტუგალიელებთან შეხვედრაში კი მწვრთნელმა მოროზოვმა მინდორზე გამოიყვანა ხურცილავა, მეტრეველი და გ. სიჭინავა.



პორტუგალია – სსრკ
ნახტომში გიორგი სიჭინავა (მუქ მაისურში)



სსრკ – უნგრეთი

# მურთაზ ხურცილავას თასზე

ფეხბურთი ყველასათვის

**დასრულდა საქართველოს სამინისტროებს, დეპარტამენტებს და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს შორის ტურნირი მინი-ფეხბურთში მურთაზ ხურცილავას სახელობის თასზე.**

ტურნირის ორგანიზატორი იყო საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მუშაკთა პროფესიული კავშირი და საქართველოს პროფესიული კავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭო. მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა, თავდაცვის, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის, მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროების, დაზვერვის, საზღვრის დაცვის, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტების, ეროვნული ბანკის, საქტელერადიოს თბილისის მეტროპოლიტენის გუნდები. ტურნირი ტრადიციულია. ამჯერად 13 ნაკრები, ოთხით მეტი, ვიდრე შარშან, იბრძოდა მთავარი ჯილდოსთვის. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მეტროპოლიტენის წარმომადგენლები. გაიმარჯვეს პოლიციის მუშაკებმა 2-1. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში თავდაცვის სამინისტროს გუნდმა აჯობა საგარეო საქმეთა სამინისტროს გუნდს.

საუკეთესო მეკარის პრიზი გადაეცა ზვიად კაპანაძეს (უშიშროების სამინისტრო), მცველისა — დიდო კვირკველიას (შსს), ნახევარმცველისა — გოჩა ჯოხაძეს (დაზვერვის დეპარტამენტი), თავდამსხმელისა და ბომბარდირისა — თემურ გიორგაძეს (უშიშროება), საუკეთესო გოლისა — გია გვაზავას (საგ. საქმ. სამ.), ხანდაზმული მოთამაშისა — გიური ცანავამ (ქონების მართ. სამ). ყველაზე ტექნიკური გუნდის პრიზი გადაეცა მშენებლობისა და ურბანიზაციის ნაკრებს, დებიუტანტთა შორის საუკეთესო შედეგისთვის დაჯილდოვდა საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის გუნდი, მასვე გადაეცა მაყურებლის სიმპათიის პრიზი. გამარჯვებულ გუნდს გარდამავალი თასი, რომელიც სფფ-მ დააწესა, თავად მურთაზ ხურცილავამ გადასცა.



თავდაცვის სამინისტროს ნაკრები



რობერტ ბაგოიანის ფოტოები

შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაკრები

# საქართველოს 2002-2003 წლების XIV ეროვნული ჩემპიონატის რეგლამენტი

*დამტკიცებულია საქართველოს ფეხბურთისფედერაციის აღმასკომის სხდომაზე. 2002 წელი, 24 ივნისი*

## 1. მიზანი და ამოცანები

საქართველოს 2002-2003 წლების XIV ჩემპიონატი მიზნად ისახავს:

1.1. საქართველოში ფეხბურთის შემდგომ განვითარებასა და პოპულარიზაციას;

1.2. საქართველოს საფეხბურთო გუნდების და ფეხბურთელების ოსტატობის ამაღლებას;

1.3. საქართველოს ნაკრები გუნდებისა და საფეხბურთო კლუბების (გუნდების) მომზადებასა და წარმატებულ გამოსვლას საერთაშორისო ტურნირებში - მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, უეფას სხვადასხვა ტურნირში.

## 2. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

2.1. საფეხბურთო კლუბებს (გუნდებს) შორის შეჯიბრებას ხელმძღვანელობს სფფ, ჩატარების ორგანიზაცია ევალება ფეხბურთის განვითარებისა და საკლუბო შეჯიბრებების კომიტეტს.

2.2. ჩემპიონატში მონაწილეობენ არამოყვარული და მოყვარული საფეხბურთო კლუბები, რომელთაც ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იურიდიული პირის სტატუსი აქვთ, სფფ-ს წევრები არიან და ექვემდებარებიან ფიფას, უეფას და სფფ-ს გადაწყვეტილებებს, დროულად იხდიან სფფ-ს მიერ დაწესებულ ყველა გადასახადს.

2.3. საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების კალენდარი წარმოადგენს სფფ-ს საკუთრებას. სფფ-ს შეუძლია არსებული კალენდრის გამოყენება სარეკლამო, კომერციული და სხვა მიზნით. აღნიშნული უფლებების სხვა პირებისათვის გადაცემა აკრძალულია.

2.4. ფიფას წესდების 49-ე მუხლისა და უეფას წესდების 44-ე მუხლის თანახმად სფფ ფლობს მის იურისდიქციაში მყოფი კლუბების ტელე და რადიო ტრანსლაციებზე განსაკუთრებულ უფლებებს, როგორც შიდა, ასევე უეფას ეგიდით ჩატარებულ მატჩებზე (პირდაპირი ეთერის, ჩანაწერის და ფრაგმენტების სახით).

2.5. მატჩების ტელე და რადიო ტრანსლაციებზე შეთანხმების გაფორმების პროცედურა განისაზღვრება სფფ-ის მიერ ყოველ კონკრეტულ მატჩში და ითვალისწინებს მონაწილე კლუბების ინტერესებს.

2.6. შეჯიბრების ჩატარების დრო განისაზღვრება სფფ-ს აღმასკომის მიერ დამტკიცებული კალენდრის მიხედვით.

2.7. სფფ უფლებამოსილია სპეციალური კომისიის მეშვეობით კლუბების განაცხადების მიღებამდე შეამოწმოს სტადიონების მდგომარეობა და მისი უხარისხობის შემთხვევაში აკრძალოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების კალენდარული თამაშების გამართვა.

## 3. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

3.1. საქართველოს 2002-2003 წლების XIV ჩემპიონატი გაიმართება სამ ლიგად: უმაღლესი, პირველი და რეგიონული ლიგა;

3.2. უმაღლეს ლიგაში მონაწილეობს 12 გუნდი, რომლებმაც XIII ჩემპიონატში მიღწეული შედეგების მიხედვით მოიპოვეს ამავე ლიგაში მონაწილეობის უფლება:

1. ქუთაისის „ტორპედო“
2. თბილისის „ლოკომოტივი“
3. თბილისის „დინამო“
4. ფოთის „კოლხეთი 1913“
5. თბილისის „მერანი 91“
6. ბათუმის „დინამო“
7. თბილისის „ვიტ ჯორჯია“
8. ბოლნისის „სიონი“
9. ზესტაფონის „მეტალურგი“
10. რუსთავის „გორდა 2000“
11. წნორის „მილანი“
12. გორის „დილა“

თამაშები გაიმართება ორ წრედ (შინ და სტუმრად). გუნდები, რომლებიც დაიკავებენ I-VI ადგილებს, მეორე ეტაპზე აგრძელებენ ბრძოლას განახევრებული ქულებით, საპრიზო ადგილებისთვის — ორ წრედ (შინ და სტუმრად) და მომდევნო, XV ჩემპიონატში იასპარეზებენ უმაღლეს ლიგაში.

გუნდები, რომლებიც I ეტაპზე დაიკავებენ VII-XII ადგილებს, მეორე ეტაპზე განახევრებული ქულებით, ორ წრედ (შინ და სტუმრად) აგრძელებენ ბრძოლას უმაღლეს ლიგაში ადგილების შესანარჩუნებლად. XI-XII ადგილებზე გასული გუნდები გადაყვანილი იქნებიან I ლიგაში, ხოლო X ადგილზე გასული გუნდი შეხვდება I ლიგაში III ადგილზე გასულ გუნდს (ნეიტრალურ მოედანზე 1 მატჩი). თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი ორი 15-წუთიანი ტაიმი. იმ შემთხვევაში, თუ დამატებით ტაიმებში არ გამოვლინდება გამარჯვებული, დაინიშნება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები, ფიფას წესდების შესაბამისად. გამარჯვებული მოიპოვებს უმაღლესი ლიგის საგზურს.

3.3. უმაღლესი ლიგის გუნდებს, რომლებიც I ეტაპის შემდეგ დააგროვებენ კენტ ქულებს, დაემატებათ ერთი ქულა და შემდეგ გაუნახევრდებათ, ხოლო გატანილი და მიღებული ბურთების აღრიცხვა დაიწყება ნოლიდან.

3.4. I ლიგაში მონაწილეობს 13 გუნდი:

1. წყალტუბოს „სამგურალი“
2. ლანჩხუთის „გურია“
3. ქობულეთის „ქობულეთი“
4. თბილისის თსუ
5. თბილისის „ლოკომოტივი-2“
6. ცხინვალის „ცხინვალი“
7. თბილისის „დინამო-2“
8. ზუგდიდის „ლაზიკა“
9. ხობის „კოლხეთი“
10. მცხეთის „მცხეთა“
11. ოზურგეთის „მერცხალი“
12. ხაშურის „ივერია“
13. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები

მატჩები ჩატარდება წრიული სისტემით 2 წრედ (შინ და სტუმრად). I-II ადგილებზე გასული გუნდები XV ჩემპიონატში იასპარეზებენ უმაღლეს ლიგაში, ხოლო III ადგილზე გასული გუნდი შეხვდება უმაღლეს ლიგაში X ადგილზე გასულ გუნდს (ნეიტრალურ მოედანზე 1 მატჩი). თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი ორი 15-წუთიანი ტაიმი. იმ შემთხვევაში, თუ დამატებით ტაიმებში არ გამოვლინდება გამარჯვებული, დაინიშნება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები, ფიფას წესდების შესაბამისად. გამარჯვებული მოიპოვებს უმაღლესი ლიგის საგზურს.

ბოლო ორ ადგილზე გასული გუნდები (ჭაბუკთა ნაკრების გარეშე) გადაყვანილ იქნებიან რეგიონულ ლიგაში.

3.5. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ჩემპიონატში მონაწილეობს უკონკურსოდ (უმაღლეს ლიგაში გადასვლის და I ლიგიდან გავარდნის გარეშე), მაგრამ მათ მიერ ჩატარებულ მატჩებს ენიჭება მნიშვნელობა როგორც ჭაბუკთა ნაკრებისათვის, ისე მოწინააღმდეგისათვის, ვინაიდან მატჩების შედეგები (ქულები, ბურთები და ა.შ.) გათვალისწინებული იქნება ცხრილში.

3.6. რეგიონული ლიგა 2002-2003 წლების XIV ჩემპიონატში დაიყოფა ტერიტორიული პრინციპით სამ ზონად: აღმოსავლეთ, ცენტრალურ და დასავლეთ ზონებად. მატჩები ჩატარდება წრიული სისტემით 2 წრედ (შინ და სტუმრად). ზონებში თამაშებს ჩაატარებენ აღმასკომის გადაწყვეტილების შესაბამისად დადგენილი რეგიონული ფედერაციები. რეგიონული ლიგის ზონების გამარჯვებული გუნდები მომავალ XV ჩემპიონატში იასპარეზებენ I ლიგაში.

3.7. რეგიონულ ფედერაციებს უფლება აქვთ ჩაატარონ თავისი რეგიონის ზონალური გათამაშება.

## 4. ჩემპიონატის ჩატარების პირობები

4.1. ჩემპიონატის კალენდარი დგება სფფ-ში ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე.

4.2. ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი მოაწყონ საზეიმო ვითარებაში და საქართველოს ჰიმნის თანხლებით აღმართონ ეროვნული დროშა.

4.3. XIV ჩემპიონატში ქულების დარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: მოგება — 3 ქულა, ფრე — 1 ქულა, წაგება — 0 ქულა.

4.4. თუ ორმა გუნდმა დააგროვა თანაბარი ქულები, ყველა ლიგაში ჩემპიონის გამოსავლენად დაინიშნება დამატებითი მატჩი ნეიტრალურ მოედანზე (თამაშის ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი ორი 15-წუთიანი ტაიმი. იმ შემთხვევაში, თუ დამატებით ტაიმებში არ გამოვლინდება გამარჯვებული, დაინიშნება 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები) ფიფას წესდების შესაბამისად, ხოლო მომდევნო ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:

4.4.1. მოგებათა მეტი რაოდენობა (ამ პრიორიტეტით აქ და ქვემოთ გაირკვევა ჩემპიონატის I ეტაპის შედეგები, ხოლო ჩემპიონატის საბოლოო შედეგების გამოსავლენად აქ და ქვემოთ იგულისხმება II ეტაპის შედეგები);

4.4.2. უშუალოდ ერთმანეთში შეხვედრების შედეგები (ჯერ ქულათა რაოდენობა, შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა, ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში მოწინააღმდეგის მოედანზე მეტი გოლი აქვს გატანილი);

4.4.3. ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

4.4.4. გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

4.4.5. სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

4.4.6. ფეარ-ფლეის შედეგები.

4.4.7. თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

4.5. იმ შემთხვევაში, თუ ჩემპიონის გამოსავლენად სამი ან მეტი გუნდი დააგროვებს თანაბარ ქულებს, მოქმედებს იგივე პრინციპი, რაც მომდევნო ადგილებისთვისაა პრიორიტეტული (პუნქტები 4.4.1, 4.4.2, 4.4.3, 4.4.4, 4.4.5, 4.4.6, 4.4.7.).

4.6. პლეი-ოფის და გადადებული თამაშების თარიღს და ადგილს ადგენს სფფ.

4.7. გუნდის მწვრთნელი ვალდებულია შეხვედრის დაწყებამდე 45 წუთით ადრე მატჩის ტექნიკურ ოქმში შეიყვანოს არაუმეტეს 18 მოთამაშისა. ყოველ ფეხბურთელს ოქმში შეყვანილი ნომრის შესაბამისად უნდა ჰქონდეს ნომრები მაისურზე.

4.8. თამაშის ოქმს პირველად ავსებს მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელი.

4.9. თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდების კაპიტნები, გუნდების წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი.

მატჩის ოქმში შეყვანილი უნდა იყვნენ ოფიციალური პირები (გვარი, სახელი, თანამდებობა): მწვრთნელი, გუნდის უფროსი, მწვრთნელის ასისტენტები, ექიმი, მასაჟისტი, ადმინისტრატორი, სათადარიგო ფეხბურთელები (7 მოთამაშე) — სულ 13 კაცი, რომლებიც თამაშის დროს სხდებიან სათადარიგოთა სკამზე სპეციალურად გამოყოფილ ტექნიკურ ზონაში. **კლუბის პრეზიდენტი და სხვა ხელმძღვანელი პირები სხდებიან საპატიო სტუმართათვის გამოყოფილ ადგილებზე.** მინდვრიდან გაძევებულ მოთამაშეს სათადარიგოებს შორის ყოფნა ეკრძალება.

4.10. მასპინძელი გუნდი მატჩის დამთავრებისთანავე ვალდებულია, მოთხოვნისთანავე წარუდგინოს სფფ-ს დელეგატს ვიდეო-ფირი, რომელიც კლუბს უკან დაუბრუნდება 2 დღის ვადაში.

4.11. მატჩის მსაჯები და დელეგატი ვალდებულნი არიან შეამოწმონ გუნდების ფეხბურთელთა მონაწილის ბარათები. ის მოთამაშე, რომელსაც მონაწილის ბარათი არ გააჩნია, მატჩზე არ დაიშვება. მსაჯები და დელეგატი აგრეთვე ეცნობიან მოთამაშეთა ფორმის ფერებს. **თუ გუნდების სათამაშო ფორმა ერთნაირია, მსაჯებისა და დელეგატის მოთხოვნით ფორმა უნდა გამოიცვალოს მასპინძელმა გუნდმა.**

4.12. უმაღლეს და I ლიგაში მოასპარეზე მასპინძელი გუნდი ვალდებულია თითოეულ თამაშში მსაჯებს წარუდგინოს 4 სათამაშო ბურთი, ხოლო რეგიონული ლიგის გათამაშებაში მოასპარეზე მასპინძელი გუნდი ვალდებულია მსაჯებს წარუდგინოს არანაკლებ 2 სათამაშო ბურთი. ბურთები უნდა იყოს აპრობირებული და თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს დამღა ერთ-ერთი შემდეგი წარწერით:

**1. FIFA APPROVED**
**2. FIFA INSPECTED**
**3. INTERNETIONAL STANDARTS**
**4. COMPETITION PRO**

4.13. XIV ჩემპიონატის უმაღლესი და I ლიგის კალენდარულ მატჩებში ნებადართულია სამი ფეხბურთელის შეცვლა, ხოლო რეგიონულ ლიგაში — ხუთი ფეხბურთელისა.

4.14. სფფ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, კლუბთან შეთანხმებით, შეამოწმოს გუნდში მიმდინარე სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, სათანადო დოკუმენტაცია.

4.15. ტექნიკური ზონა სათადარიგოთა სკამის მარჯვენა და მარცხენა მხრიდან თითო მეტრით უნდა იყოს დაშორებული, ხოლო საფეხბურთო მოედნის გვერდითი ხაზიდან — არაუმეტეს 1 მეტრით.

4.16. სათადარიგო მოთამაშეთა მოთელვა უნდა ხდებოდეს მთავარი მსაჯის მიერ მითითებულ ადგილზე.

4.17. თამაშის დროს სათამაშო კარის უკან დგომის უფლება აქვთ მხოლოდ ფოტოკორესპონდენტებს (რომელთაც გავლილი აქვთ აკრედიტაცია) და ბურთის მომწოდებელ ბავშვებს.

4.18. გუნდებს თამაშის გადატანა შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნულ, ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოძახებულია მათი 2 ან მეტი ფეხბურთელი.

4.19. კლუბები ვალდებულნი არიან სფფ-ში ოფიციალურად (ფაქსით ან დეპეშით) განაცხადონ თანხმობა ჩემპიონატში მონაწილეობაზე: უმაღლესი და I ლიგის გუნდებმა — 2002 წ. 1 ივლისამდე, რეგიონული ლიგის გუნდებმა კი — 2002 წ. 30 ივლისამდე.

4.20. კლუბებმა სფფ-ში უნდა ჩარიცხონ საწევრო შესატანი: უმაღლესი ლიგის გუნდებმა — 22 ათასი ლარი, I ლიგის გუნდებმა — 12 ათასი ლარი, ხოლო რეგიონული ლიგის გუნდებმა — 5 ათასი ლარი. **სფფ-ს მიმართ ყველა სახის გადასახადი (დავალიანება) დაფარული უნდა იყოს გუნდების განაცხადების წარმოდგენამდე (საგარანტიო წერილები არ მიიღება).**

4.21. სფფ-ს რეკვიზიტებია: სს საქართველოს ბანკი, ა/ა 005700126, ბანკის კოდი 220101502, სფფ-ს საიდენტიფიკაციო კოდი 201990079.

4.22. მასპინძელი გუნდი ვალდებულია, შეტყობინების საფუძველზე, სტუმართა გუნდს ერთი დღით ადრე დაუჯავშნოს სასტუმროში არანაკლებ 30 ადგილი, დაეხმაროს მას კვებისა და შინ გამგზავრების ორგანიზებაში. თამაშის წინა დღეს სტუმარ გუნდს უნდა მისცეს სათამაშო მოედანზე ვარჯიშის უფლება.

4.23. უმაღლეს ლიგაში მონაწილე ყველა გუნდი ვალდებულია ვიდეოფირზე ჩაიწეროს ჩემპიონატისა და თასის ყველა თამაში და მოთხოვნისთანავე წარმოუდგინოს სფფ-ს. **მატჩის ვიდეოფირის უქონლობის შემთხვევაში, კლუბი დაჯარიმდება 100 ლარით. ყოველ მომდევნო შემთხვევაში კი — გაორმაგებული თანხით.**

4.24. მოთამაშეს მაისურზე მკერდის მარცხენა მხარეს უნდა ჰქონდეს თავისი კლუბის ემბლემა, ხოლო უმაღლესი ლიგის გუნდების ფეხბურთელებს მაისურისს მარჯვენა მკლავზე — სფფ-ს ლოგო. მაისურზე ნომრის ზომებია: სიმაღლე — 25 სმ, ხაზის სიგანე — 3 სმ. თუ მაისური ზოლიანია, მაისურზე ნომრები თეთრ ფონზე უნდა იყოს აღნიშნული. მეკარის ფორმა მკვეთრად უნდა გამოირჩეოდეს ორივე გუნდის მოთამაშეთა და მსაჯთა ფორმის ფერებისაგან.

4.25. გუნდს უნდა გააჩნდეს ორი მკვეთრად განსხვავებული ფერის ფორმა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს სფფ-ს განაცხადის შეტანის დროს.

4.26. მასპინძელი გუნდი ვალდებულია სტადიონზე იყოლიოს 2 კვალიფიციური მედპერსონალი, სასწრაფო სამედიცინო დახმარების და სახანძროს მანქანები, ასევე უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა საჭირო რაოდენობა.

4.27. კლუბი ვალდებულია გუნდიდან განთავისუფლებული ფეხბურთელის მონაწილის ბარათი 48 საათის განმავლობაში ჩააბაროს სფფ-ის შესაბამის კომიტეტს და ამავე დროის განმავლობაში წერილობით აცნობოს სფფ-ს ამ ფეხბურთელის გუნდიდან წასვლის შესახებ. სეზონის უკანასკნელი მატჩის შემდეგ ყველა ფეხბურთელის ბარათი უნდა ჩაბარდეს მატჩის დელეგატს, რომელიც გადაეცემა სფფ-ს შესაბამის კომიტეტს.

4.28. დელეგატი ვალდებულია მატჩის დაწყებამდე საათნახევრით ადრე ჩაატაროს თათბირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ორივე გუნდის წარმომადგენლები, შსს-ს თანამშრომელი, მსაჯები, სტადიონის დირექტორი, მასპინძელი გუნდის უსაფრთხოების ოფიცერი. დელეგატის მიერ მითითებული შენიშვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მატჩი არ გაიმართება.

4.29. მატჩების დაწყების დროს განსაზღვრავს სფფ. თამაშები მაისში და აგვისტოში დაიწყება 18.00სთ-ზე, სექტემბერში — 17.00სთ-ზე, ივნისში და ივლისში 19.00სთ-ზე, აპრილსა და ოქტომბერში — 16.00სთ-ზე, თებერვალში, მარტში და ნოემბერში — 15.00სთ-ზე, დეკემბერში კი — 14.00სთ-ზე.

თუ რომელიმე გუნდი, სფფ-სთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, მატჩს ჩაატარებს ხელოვნური განათების ქვეშ, მას უფლება აქვს დაიწყოს შეხვედრა მოგვიანებით.

4.30. კალენდარულ მატჩზე მითითებულ დროზე რომელიმე გუნდის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დელეგატი და მთავარი მსაჯი ვალდებულია შეამოწმოს მატჩზე მოსული გუნდის ფეხბურთელების ბარათები, ამის შემდეგ დამსწრე გუნდი და მსაჯები ვალდებული არიან სათამაშო ფორმით გავიდნენ მოედანზე და დაამტკიცონ თამაშისთვის მზადყოფნა.

431. ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში მატჩის დელეგატს უფლება აქვს არ ჩაატაროს მატჩი. საკითხი განსახილველად გადაეცემა სადისციპლინო კოლეგიას.

## 5. გუნდების განაცხადის გაფორმება

5.1. გუნდების განაცხადების მიღებას და ფეხბურთელების დამტკიცებას აწარმოებს ფეხბურთის განვითარებისა და საკლუბო შეჯიბრებების კომიტეტი.

5.2. კლუბიდან კლუბში ფეხბურთელთა გადასვლას აწარმოებს ფეხბურთის განვითარებისა და საკლუბო შეჯიბრებების კომიტეტი, ხოლო სადავო საკითხებს განიხილავს სფფ-ს სატრანსფერო კომისია.

5.3. გუნდების განაცხადების მიღება იწარმოებს მას შემდეგ, რაც კლუბები წარმოადგენენ სარეგისტრაციო საბუთებს.

5.4. XIV ჩემპიონატში ყველა ლიგაში მონაწილე ყველა გუნდი ვალდებულია დადგენილი განრიგის მიხედვით სფფ-ში წარმოადგინოს:

- საფეხბურთო კლუბის რეგისტრაციის მოწმობა.
- კლუბის დაფუძნების დოკუმენტები: საფეხბურთო კლუბის წესდება, სადამფუძნებლო ხელშეკრულება და დამფუძნებელთა შემადგენლობა.
- საფეხბურთო კლუბის იურიდიული კოორდინატები და ბანკის რეკვიზიტები (ტელეფონი, ფაქსი, სტადიონის, ბაზის და ოფისის ნომრები).
- საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობა (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, აღმასრულებელი დირექტორი, პასუხისმგებელი მდივანი, მწვრთნელი, უსაფრთხოების ოფიცერი და სხვა), მათი მისამართები და ტელეფონები.
- საბუთები საფეხბურთო კლუბის სტრუქტურის შესახებ, მათ შორის დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ საბავშვო სკოლის ფუნქციონირებას (მინიმუმ ორი ასაკის გუნდი).
- ხელშეკრულება სტადიონის მფლობელის ან იჯარის შესახებ და ბეჭდით დამოწმებული სტადიონის ტექნიკური პასპორტის ასლი.
- საფეხბურთო კლუბის ხელშეკრულებები ძალოვან სტრუქტურებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის მატჩების უსაფრთხოდ ჩატარების შესახებ.
- ბანკის მიერ დამოწმებული - საგადასახადო დავალება ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშზე ჩემპიონატის რეგლამენტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვის შესახებ.
- სათამაშო ფორმა, ორი მკვეთრად განსხვავებული კომპლექტი ფერების ჩამონათვალით (მაისური, ტრუსი, გეტრი).
- გუნდის განაცხადი 3 ეგზემპლარად;
- გუნდის ფერადი ფოტოსურათი ზომით 18X13;
- მოთამაშეთა და მწვრთნელთა კონტრაქტები სპეციალური ფორმის მიხედვით;
- მოთამაშეთა პასპორტების ასლები;
- მოთამაშეთა ახალი ბარათები სურათით.
- უმაღლესი ლიგის გუნდებმა ფეხბურთელის ბარათის ფერადი სურათი 2-2 ცალი, პრეზიდენტის და მთავარი მწვრთნელი — თითო ფერადი სურათი.

5.5. XIV ჩემპიონატის მსვლელობისას, ყველა ლიგაში თითოეული გუნდის განაცხადში შეიძლება შეყვანილი იყოს 30 ფეხბურთელი. თუ გუნდი დაამტკიცებს 30-ზე მეტ ფეხბურთელს, იგი ვალდებულია გადაიხადოს 100 ლარი ყოველ დამატებულ ფეხბურთელზე.

5.6. განაცხადში ფეხბურთელის ადგილი თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ მას გაიწვევენ სავალდებულო სამხედრო სამსახურში ან სფფ გასცემს საერთაშორისო სატრანსფერო სერტიფიკატს.

**5.7. ნებისმიერ ლიგაში ნებისმიერ დროს ყველა გუნდისთვის ნებადართულია ბავშვთა სკოლიდან ფეხბურთელთა დამტკიცება.**

5.8. გუნდის განაცხადი მოწმდება რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის, კლუბის პრეზიდენტის, გუნდის ექიმის ხელმოწერით და შესაბამისი ბეჭდით.

5.9. კლუბის ძირითადი გუნდისათვის სათანადო რეზერვების მომზადების მიზნით, საფეხბურთო კლუბს შეუძლია იყოლიოს სარეზერვო გუნდი (ე.წ. ფარმკლუბი) ნებისმიერ ქვედა ლიგაში, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებული უნდა იყოს 1982 და მომდევნო წლებში დაბადებული ჭაბუკებით. აგრეთვე, გუნდს უფლება აქვს დაამტკიცოს 1981 წელს დაბადებული მხოლოდ 4 ფეხბურთელი.

5.10. აკრძალულია ერთი კლუბის ორი გუნდის (ფარმკლუბი) მონაწილეობა ერთ ლიგაში. თუ ფარმკლუბი თავის ლიგაში დაიკავებს იმ ლიგაში გადასასვლელ ადგილს, რომელშიც მონაწილეობს მისი ძირითადი გუნდი, ამ შემთხვევაში, მაღალ ლიგაში მონაწილეობის უფლება ენიჭება ფარმკლუბის შემდგომ მომდევნო ადგილზე მყოფ გუნდს.

5.11. უმაღლესი ლიგიდან გადასვლა ფეხბურთელს შეუძლია I ლიგისა და რეგიონული ლიგის გათამაშების პირველ ოფიციალურ მატჩამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ფეხბურთელი დამტკიცებული იყო უმაღლესი ლიგის განაცხადში, მაგრამ არც ერთი თამაშის ოქმში არ იყო შეყვანილი.

5.12. უმაღლესი და I ლიგის გუნდს უფლება აქვთ ჩემპიონატის ნებისმიერი მატჩის ოქმში შეიყვანოს სარეზერვო გუნდის არაუმეტეს 5 ფეხბურთელი.

5.13. ნებისმიერი ლიგის გუნდს უფლება აქვს ჩემპიონატის მსვლელობის დროს საქართველოს საზღვრებს გარედან მოიწვიონ და დამატებით განაცხადში შეიყვანონ ფეხბურთელები, რომლებზეც სფფ-ში უნდა წარადგინონ შესაბამისი ქვეყნის ფედერაციის ნებართვა (სერთიფიკატი) საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობისათვის.

5.14. უცხოეთიდან მოწვეულ ფეხბურთელებზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა.

5.15. ფეხბურთელის სატრანსფერო მომსახურების თანხა შეადგენს: **უცხოური ტრანსფერისათვის - 1000 ლარი, ხოლო შიდა ტრანსფერისათვის - 100 ლარი უმაღლესი და I ლიგა, ხოლო 20 ლარი - რეგიონულ ლიგაში.**

5.16. ფეხბურთელს უფლება აქვს კლუბიდან კლუბში გადავიდეს: 2002 წლის 15 ივნისიდან XIV ჩემპიონატის და დავით ყიფიანის სახელობის XIII თასის გათამაშების პირველ ოფიციალურ მატჩამდე, ხოლო XIV ჩემპიონატის მსვლელობის დროს 25 დეკემბრიდან მომდევნო წლის XIV ჩემპიონატის და დავით ყიფიანის სახელობის XIII თასის გათამაშების პირველ ოფიციალურ მატჩამდე.

5.17. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ ფეხბურთელებს, სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობის თანხმობით ნებისმიერ დროს უფლება აქვთ ითამაშონ იმ ქალაქის გუნდში, სადაც განლაგებულია მათი სამხედრო ნაწილი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი მიმდინარე ჩემპიონატში გამოდიოდნენ სხვა გუნდის შემადგენლობაში.

5.18. არმიულ გუნდებს უფლება აქვთ საქართველოს სამხედრო სამსახურში გაწვეულ მოთამაშეებთან დადონ არაუმეტეს 2-წლიანი კონტრაქტი.

5.19. არმიულ გუნდებს უფლება ეძლევათ ჩემპიონატის მსვლელობისას განაცხადში დამატებით შეიყვანონ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეული ფეხბურთელები.

5.20. სავალდებულო სამსახურიდან დემობილიზებულ ფეხბურთელს უფლება ეძლევა ჩემპიონატის მიმდინარეობის დროს თამაშში გააგრძელოს ნებისმიერ გუნდში.

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ერთიანი ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №4 (25) ივლისი, 2002 წელი


# საქართველოს კარატე-დოს ერთიანი ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ამავე ფედერაციის პრეზიდენტს კახა ბასილიას!

## კახა ბასილია



საქართველოს კარატე-დოს ერთიანული, საქართველოს სტუდენტური და საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი. მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ტექნიკური კომიტეტის (შიხან კაის) და დირექტორატის წევრი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კურატორი.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის კონსულტანტი, ღირსების ორდენის კავალერი, დაჯილდოვებულია მედლით სამხედრო მამაცობისთვის. მსოფლიოს აღმოსავლური ორთაბრძოლების აკადემიის აკადემიკოსი, კაზაკთა გენერალ-ლეიტენანტი.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების არაერთგზის პრიზიორი, იაპონიის აბსოლუტური ჩემპიონი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის მე-5 დანის მფლობელი და მსოფლიოს კარატე-დოს ფედერაციის მე-6 საპატიო დანის მფლობელი, რომელიც მიენიჭა 1996 წელს იაპონიის კარატე-დოს ფედერაციის მიერ აღმოსავლეთ ევროპაში კარატეს განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი უდიდესი ღვაწლისათვის.

## საქართველოს პრეზიდენტის მილოცვა

ჩემო კახა, გილოცავ დაბადების დღეს! შენ ნამდვილი მამულიშვილი ხარ შენი საქმითა და მრწამსით. შენ საქართველოს ჯანსაღ, ნათელ, ლამაზ მომავალს ემსახურები შენი საყვარელი საქმით, ნამდვილი ვაჟკაცური ხელოვნებით, რასაც შიშველი ხელის გზა ჰქვია.

ამ წლების განმავლობაში მართლაც რომ შიშველი ხელებით გააკეთე ბევრი რამ საქართველოსთვის, რა თქმა უნდა შენს თანამოაზრებთან ერთად. თქვენ უდიდეს წარმატებას მიაღწიეთ, ევროპასა და მთლიანად მსოფლიოს დაანახეთ საქართველოს პოტენციალი, სიმდიდრე და სიამაყე. სიამაყე, რომელიც შენმა ერთგულმა სამსახურმა და სიყვარულმა შეუნარჩუნა საქართველოს.

შენ საქართველოს ნამდვილი მამულიშვილი ხარ. გილოცავ კიდევ ერთხელ დაბადების დღეს, გისურვებ წარმატებას და ჯანმრთელობას.

*ედუარდ შევარდნაძე*



## ქართველ დიდოსტატს




ძვირფასო კახა, გილოცავ დაბადების დღეს, მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის სახელით. შენ კარატეს ნამდვილი ოსტატი ხარ, როგორც ხელით, ასევე გულით. ერთადერთი არაიაპონელი, რომელმაც უმაღლესი ტიტული - მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა იაპონიაში, ეს კი შენი დიდი ოსტატობის აღიარებას მოითხოვს. აქვე აღვნიშნავ, რომ შენ უამრავი ოსტატი გამოზარდე, ეს კი თავის მხრივ - უზენაეს ოსტატობაზე მიგვითითებს.

გისურვებ წარმატებას, პატარა ქვეყნის დიდო ოსტატო.

*მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი, მეათე დანის მფლობელი ტაკეაგი კამეანაგი.*

## საქართველოს თავდაცვის მინისტრის კონსულტანტს ბატონ კახა ბასილიას



ბატონო კახა!

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობისა და ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს ღირსების ორდენს. გისურვებთ წარმატებებს სამსახურებრივ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

თქვენ, როგორც მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის დირექტორატისა და ტექნიკური კომიტეტის წევრს, საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტს, აგრეთვე მსოფლიოს სამხედრო ორთაბრძოლების აკადემიის აკადემიკოსს, იაპონიის აბსოლუტურ ჩემპიონსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მრავალი პრიზის მფლობელს, მთელი სისრულითა გაქვთ გათვითცნობიერებული, რომ თითოეული ჯარისკაცის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად რაოდენ მნიშვნელოვანია ქართულ ჯარში კარატე-დოს დანერგვა, ამიტომ შესაშური ენთუზიაზმით უანგაროდ ემსახურებით ეროვნული არმიის აღმშენებლობის მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეს და ღირსეული წვლილი შეგაქვთ მის შემდგომ წარმატებაში.

გვწამს, რომ თქვენი მაღალი პროფესიონალიზმი, უდიდესი სპორტული გამოცდილება, ახალგაზრდული ენერგია და შრომისმოყვარეობა მომავალშიც დიდად წაადგება საქართველოს შეიარაღებულ ძალებს.

კიდევ ერთხელ სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებასა და ახალ-ახალ გამარჯვებებს ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,

*საქართველოს თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე*

## გიორგი ბარამიძისგან



გილოცავ დაბადების დღეს! ჩვენ თანამებრძოლები ვართ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ და ამას შენს მიერ წამოწყებული და დღემდე მოყვანილი საქმიანობაც მოწმობს. არ არსებობს იმაზე დიდი და მძიმე ტვირთი, რასაც სამშობლოსთვის სამსახურის გაწევა ჰქვია. სწორედ ესაა შენი მთავარი კრედო. მე და ჩემი მეგობრებიც გვერდში ამოგიდგებით ყოველთვის.

შენ ნამდვილი, ჭეშმარიტი ადამიანი და მამულიშვილი ხარ.

გილოცავ კიდევ ერთხელ დაბადების დღეს და გისურვებ ყოველგვარ წარმატებას.

*გიორგი ბარამიძე*

## ძვირფას მოსწავლეს



ჩემო ძვირფასო, სასახელო მოსწავლევ, გილოცავ ამ ღირშესანიშნავ დღეს - დაბადების დღეს. შენ ჩემი ერთადერთი საუკეთესო მოწაფე, თანამოაზრე და მეგობარი ხარ. ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო ის არის, რომ მყავს შენისთანა ოსტატი, რომლითაც მე ვამაყობ მთელს მსოფლიოში. შენ ზუსტად ისე შეითვისე და გაითავისე კარატეს ხელოვნება, როგორც მისი მრწამსი და კრედოა. ამავე დროს ამ უნიკალურ საბრძოლო ხელოვნებას უზარმაზარი პოპულარიზაცია გაუწიე მსოფლიოში, რაც ჩვენ არაერთხელ დავაფასეთ და აღვნიშნეთ სხვადასხვა ჯილდოების სახით. შენ ერთად-ერთი არაიაპონელი ხარ, რომელიც ტოკიოში მსოფლიო ჩემპიონი გახდა და ამის შემდეგ კარატეს უმაღლესმა ოსტატებმა თავისი ოჯახის ერთსულოვან წევრად მიგიღო. მე ვამაყობ შენით.

გისურვებ წარმატებას, კარატეს ქართველო დიდოსტატო!

*ულრმესი პატივისცემით მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს შეფ-ინსტრუქტორი, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, მერვე დანის მფლობელი ჰიტოში კასუია*

## საქართველოს საუნივერსტიტეტო სპორტის ფედერაციისგან



გილოცავთ დაბადების დღეს! თქვენ ჭეშმარიტად ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით,ვინაიდან დღევანდელი საქართველოს ახალგაზრდებისთვის უსაყვარლესი, სამაგალითო, მისაბაძი და ბევრისთვის კუმირიც ბრძანდებით.

თქვენ ბევრ ახალგაზრდას გაულამაზეთ ცხოვრება და ამიტომაც უბედნიერესი ადამიანი ბრძანდებით. უბედნიერესი ვთქვი და ეს სიტყვა შემთხვევით ნათქვამი არ არის - ადამიანი, რომელიც ერს ემსახურება, მისი ბედნიერება განუსაზღვრელია.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის და მთლიანად საქართველოს ახალგაზრდების სახელით.

იყავით ბედნიერი!

*საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის გენერალური მდივანი გივი მძელური*

## კახა ბასილიას

ძვირფასო კახა!

მიიღეთ თქვენი დაბადების დღის გულწრფელი მილოცვა საქართველოს მრავალხმასნიანი კაზაკების სახელით, რომლის საპატიო გენერალიც თქვენ ბრძანდებით.

დაუფასებელია თქვენი წვლილი საქართველოს სპორტის, კერძოდ მძლეოსნობის ყველა სახეობის განვითარების, მოზარდი თაობის აღზრდისა და ახალგაზრდობის ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის მომზადების საქმეში. თქვენ აქტიურად მონაწილეობთ საქველმოქმედო საქმიანობაში, არაერთხელ მოგინახულებიათ საქართველოს კაზაკთა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის წევრებთან ერთად კოჯრის ბავშვთა სახლში, ზემო ავჭალის კოლონია...

ნება მოგვეცით, ამ საზეიმო დღეს კიდევ ერთხელ მოგილოცოთ თქვენი იუბილე, და სიკეთე გისურვოთ - მორალური, მატერიალური... გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ოჯახურ კეთილდღეობას.

აქვე გილოცავთ კაზაკთა გენერალ-ლეიტენანტის წოდებას, ღირსეულად გეტარებინოთ!

გულწრფელი პატივისცემით:

*საქართველოს კაზაკთა კავშირის უმაღლესი ატამანი*
*ვასილ კადენეცი,*
*საქართველოს კაზაკთა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტი*

## „ახალი აზროვნებისგან“

ბატონო კახა, ახალ საქართველოს თქვენნაირი, ახალი ადამიანები სჭირდება. თქვენი სახელით საქართველოს სხეულიც ამაღლდა არაერთხელ. კარატე, უდიდესი, ჭეშმარიტი საბრძოლო ხელოვნებაა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ჭეშმარიტ მამულიშვილებს გაუზრდის. ამიტომაც თქვენი წვლილი ახალი საქართველოს შენებაში დიდია და განუზომელი.

ამიტომაც ჩვენი გაზეთი, მუდამ თქვენს გვერდით დგას.

გილოცავთ დაბადების დღეს საქართველო-თურქეთის სახელით.

*პირველი ქართულ-თურქული გაზეთი*
*„ახალი აზროვნების“ რედაქცია*

## „ლელოსგან“

გილოცავთ დაბადების დღეს!

საქართველოში აღმოსავლური ორთაბრძოლების არაერთი სახეობაა დანერგილი, მაგრამ შოტოკან კარატე-დო გამორჩეულია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი პოპულარობა ჩვენში მთლიანად განაპირობა კარატეს ამ სახეობის საქართველოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის მე-6 დანის მფლობელის მსოფლიო ჩემპიონის კახა ბასილიას პირადი ავტორიტეტით.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ კახა ბასილიას ნიჭის წყალობით საქართველოში კარატეს მასობრივი განვითარება მაქსიმუმს მიაღწევს და ჩანაფიქრი რეალობად იქცევა.

*გაზეთ „ლელოს“ რედაქცია.*

**მილოცვები პრაქტკულად აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყნიდან და მსოფლიოს მრავალი ათეული კუთხიდან მოვიდა. მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტმა ტეკიაგი კამეანაგიმ მოულოცა და წარმატებები უსურვა იმ საქმეში, რასაც კახა წლების განმავლობაში ერთგულად, უანგაროდ ემსახურება.**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

№ 844 2002 წლის 21 ივნისი ქ. თბილისი

**თენგიზ რამიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში კარატეს განვითარება-პოპულარიზიციასა და ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სპორტული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების ექსპერტი თენგიზ რამიშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

*ედუარდ შევარდნაძე*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

№ 406 2002 წლსი 10 აპრილი ქ. თბილისი

**ომარ რევიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში ჭიდაობის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სპორტული და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, სპორტის ოსტატი ომარ რევიშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

*ედუარდ შევარდნაძე*

## უშიშროების სამსახური „დელტა“

### პრეზიდენტი კახა ბასილია



საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი, პოლკოვნიკი;
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი;
მსოფლიოს სამხედრო ორთაბრძოლების აკადემიის აკადემიკოსი;
კავკასიის კაზაკთა კავშირის ატამანის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი;
მსოფლიოს ჩემპიონი კარატე-დოში;
წლების განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფოს პირველი პირების, ბიზნესმენების, პოლიტიკოსების პირად დაცვაში საქართველოსა და უცხოეთში;
მონაწილეობდა ცხელ წერტილებში სპეციალური ოპერაციების განხორციელე-ბაში;
დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით და მედლით მხედრული მამაცობისთვის;
მიღებული აქვს ეკონომისტის და იურისტის განათლება.

### პროფესიონალთა მომზადების სპეციალური სკოლა

სკოლა „დელტა“ ახორციელებს კერძო მცველის მომზადებას და გასცემს საერთაშორისო დიპლომს;

სწავლება სკოლაში ხორციელდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, რომელთაც გააჩნიათ ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის დიდი გამოც-დილება.

შეისწავლება შემდეგი საგნები:



_ სამართალი;
_ სპეციალური მომზადება;
_ ტექნიკური მომზადება;
_ საცეცხლე მომზადება;
_ ფიზიკური მომზადება;
_ ხელჩართული ბრძოლა;
_ ფსიქოლოგიური მომზადება;
_ სამედიცინო მომზადება;
_ უცხო ენა;
_ ჩვენთან შეგიძლიათ გაიაროთ 4 და 6 კვირიანი სპეც-კურსები.

სწავლა მიმდინარეობს როგორც ჯგუფუ-რად, ასევე ინდივიდუალურად.

სწავლა ფასიანია

სწავლის საფასური შედგება კურსის მომზადების დონიდან გამომდინარე, 200 ლარიდან ზევით.

### უშიშროების სამსახურის „დელტას“ მომსახურება

უშიშროების სამსახური „დელტა“ გთავაზობთ შემდეგი შემდეგი სახის დაცვას: კომპანიების ხელმძღვანელების პირადი დაცვა, ბანკების, ორგანიზაციების, საწარმოების ბიზნესმენების და მათი ოჯახის წევრების დაცვა.

ოფისების ობიექტების, ბანკების, სასაწყობო შენობების, მშენებარე ობიექტების, გასართობი კომპლექსების, ქალაქგარე სახლებისა და ობიექტების დაცვა. უშიშროების კომპლექსური მეთოდების დამუშავებით (ბანკების, სახლების, წარმოებების და ა.შ.).

**გამოიყენება სამსახურეობრივი ძაღლები**

მასიური ღონისძიებების, კონცერტების, პრეზენტაციების დაცვა;

ტვირთების გაცილება;

ბანკებისა და სავალუტო პუნქტების დაცვა;

ფიზიკური პირების დაცვა;

დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს;

ოჯახის წევრების ევაკუაცია;

კონფლიქტების განმუხტვა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით;

კომპანიის ხელმძღვანელობის და მისი ოჯახის დაცვა;

კომპანიის ხელმძღვანელების სამგზავრო მარშრუტების დამუშავება უსაფრთხოების მიზნით;

ოპერატიული რეაგირება კლიენტის თხოვნისას და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა, როდესაც კლიენტს პრობლემები აქვს არაფორმალურ დაჯგუფებასთან, ამასთანავე სწრაფი რეაგირების ჯგუფის გასვლა შემთხვევის ადგილზე დღე-ღამის განმავლობაში.

***ჩვენი მისამართია: ქალაქი თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. № 6***
***ტელ/ფაქსი: 96-31-89***

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

空手道

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89.**

**საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი**

**მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ**

# ჟაკ სანტინი — საფრანგეთის ნაკრების თავკაცად

**საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად ჟაკ სანტინი დაინიშნა. პოსტის მსურველთა ბრძოლაში სანტინიმ აჯობა იაპონელ ფეხბურთელთა ყოფილ თავკაცს ფილიპ ტრუსიესა და საფრანგეთის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს — როჟე ლემერის თანაშემწეს რენე ჟირარს, აგრეთვე, ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცს რაიმონ დომენეკს.**

„სანტინიმ თავისი სამომავლო პროგრამით დამაკმაყოფილა. მას კარგად ესმის შექმნილი მდგომარეობა და ჩემი აზრით, ძალუძს დაძლიოს საფრანგეთის ნაკრებში არსებული კრიზისი“ — განაცხადა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კლოდ სიმონემ.

ჟაკ სანტინის კარიერა მართლაც რომ ბრწყინვალეა. სწორედ მისი თავკაცობით, გასულ სეზონში საფრანგეთის ჩემპიონობა მოიპოვა „ლიონმა“ თავად სანტინს ფეხბურთელობისას ფრანგულ საფეხბურთო ელიტაში 450-მდე თამაში აქვს ჩატარებული და ოთხჯერ იყო საფრანგეთის



ჩემპიონი. სხვათა შორის, საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვინაობის გამოცხადებამდე ჟურნალისტები უპირატესობას რაიმონ დომენიკს ანიჭებდნენ, მაგრამ მთავარი როლი სანტინის არჩევაში მიშელ პლატინის მხარდაჭერამ ითამაშა. სანტინის კანდიდატურა ხომ პლატინიმ წამოაყენა.

რაც შეეხება დომენიკს, ის კვლავ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დატოვეს და მიზნად დაუსახეს ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობა.

ჟაკ სანტინის პირველი ამოცანა კი საფრანგეთის ნაკრების არსებული კრიზისიდან გამოყვანაა. გახსოვთ ალბათ, რომ ახლახან დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატში ფრანგებმა ყოველგვარი ანტირეკორდი მოხსნეს — ისინი ჯგუფიდანაც ვერ გავიდნენ და ჩემპიონატი უგოლოდ დატოვეს... სწორედ ასეთმა წარუმატებლობამ იმსხვერპლა როჟე ლემერი, რომელსაც ქვეყნის პირველ გუნდთან 2004 წლამდე ჰქონდა დადებული კონტრაქტი.

„ვიცი, რომ მძიმე გზა მაქვს გასავლელი, — განაცხადა, სანტინიმ ჟურნალისტებთან საუბარში, — შევეცდები გავამართლო ფედერაციის ხელმძღვანელობის იმედები“.

შეძლებს კი ამას საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი?

მოკლედ გაგაცნობთ ჟაკ სანტინის ბიოგრაფიას. დაიბადა 1952 წლის 25 აპრილს.

იცავდა „სენტ-ეტიენისა“ (1969-1981) და „მონპელიეს“ (1981-1983) ღირსებას. 1974-76, აგრეთვე 1981 წელს იყო ქვეყნის ჩემპიონი. ორჯერ — 1975 და 1977 წლებში გუნდთან ერთად ფლობდა საფრანგეთის თასს.

1983-1985 წლებში წვრთნიდა „ლიზიეს“. 1985-89 წლებში — „ტულუზას“. ამის შემდეგ სანტინი ხელმძღვანელობდა „ლილტს“ (1989-1992), „სენტ-ეტიენს“ (1992-1994), „სოშოს“ (1994-1995), „ლიონს“ (2000-2002). ამ უკანასკნელს წელს მოაპოვებინა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, ხოლო შარშან — საფრანგნეთის ლიგის თასი.

და ბოლოს, გთავაზობთ საფრანგეთის ნაკრების ყველა მთავარი მწვრთნელის სიას:

**1964 წლამდე გუნდს მწვრთნელთა საბჭო ხელმძღვანელობდა. 1964-66 — ანრი გერენი (5 მოგება, 4 ფრე, 6 წაგება), 1966 (სექტემბერ-ნოემბერი) — ჟოზე არიბასი და ჟან სნელა (2,0,2)**
**1967 (მარტი — ივნისი) — ჟიუსტ ფონტენი (0,0,2)**
**1967-68 — ლეო დიუ გოგე (2,3,4)**
**1969-73 — ჟორჟ ბულონი (15,5, 11)**
**1973-75 — სტეფან კოვაჩი (6,4,5)**
**1976-84 — მიშელ იდალგო (41, 16, 18)**
**1984-88 — ანრი მიშელი (16,12,8)**
**1988-92 — მიშელ პლატინი (16,8,5)**
**1992-93 — ჟერარ ულიე (7,1,4)**
**1994-98 — ემე ჟაკე (34, 16,3)**
**1998-2002 — როჟე ლემერი (34, 11,8)**

როგორც ხედავთ, საუკეთესო შედეგი ემე ჟაკს ჰქონდა, რომლის ხელმძღვანელობით საფრანგეთის ნაკრებმა 4 წლის განმავლობაში მხოლოდ სამი მარცხი იწვნია.

## რიო ფერდინანდი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ იყიდა

**ინგლისური საფეხბურთო კლუბ „ლიდს იუნაიტედის“ ხელმძღვანელობამ საბოლოოდ გადაწყვიტა გაყიდოს გუნდის მცველი რიო ფერდინანდი. ამ ფეხბურთელში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ბრიტანეთისათვის რეკორდული თანხა — 30 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა.**



**არადა, აქამდე „ლიდსი“ არ აპირებდა ფერდინანდის გაყიდვას, მაგრამ თვით ფეხბურთელმა, რომელსაც აღარ სურდა ძველ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელება, თავისი გაიტანა და ახლა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ღირსებას დაიცავს. შეგახსენებთ, რომ ფერდინანდმა „ლიდსის“ შემადგენლობაში 73 მატჩი ითამაშა და 3 გოლი გაიტანა.**

## რივალდო «ბარსელონადან» გააგდეს



ესპანეთის საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ ხელმძღვანელობამ ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავ რივალდოსთან კონტრაქტი შეწყვიტა. მსოფლიოს ჩემპიონს კიდევ ერთი წელი უნდა ეთამაშა „ბარსელონას“ შემადგენლობაში, თუმცა გუნდის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ლუი ვან გაალმა უარი თქვა რივალდოს სამსახურზე.

ახლა, ბრაზილიელი ფეხბურთელის გადაბირებით დაინტერესებულია კახა კალაძის „მილანი“, რომლის ხელმძღვანელობა მზად არის ორწლიანი კონტრაქტი გააფორმოს ბრაზილიელთან.

# საზაფხულო ტრანსფერების „ციებ-ცხელება“

**ზაფხული ევროპული საფეხბურთო სამყაროსთვის ყოველთვის სატრანსფერო „ციებ-ცხელებით“ გამოირჩევა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან შედარებით, წლევანდელ საზაფხულო „ბაზრობაზე“ „ტემპერატურა“ მნიშვნელოვნად დაეცა. ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს სატრანსფერო ბაზარზე აქტიური 10 ევროპული გუნდის მიმდინარე სატრანსფერო პოლიტიკა.**

1. „ბაიერნი“ (გერმანია): ***მოვიდნენ*** — მიხაელ ბალაკი, ზე რობერტო (ორივე — ლევერკუზენის „ბაიერი“), სებასტიან დაისლერი („ჰერტა“); ***წავიდნენ*** — პაულუ სერჟიუ (გადავიდა არაბეთის გაერთიანებული საემიროების გუნდ „ალვაჰდაში“), შტეფან ეფენბერგი (ჯერჯერობით უკლუბოდაა), ალოუ დიარა („ლივერპული“).



*ბალაკის შეძენით „ბაიერნმა“ უშუალო კონკურენტი „ბაიერი“ დაასუსტა*

როგორც ყოველთვის, „ბაიერნი“ ბუნდესლიგის მორიგ სეზონში ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. ზე რობერტოსა და მიხაელ ბალაკის შეძენით „ბავარიამ“ თავისი უშუალო კონკურენტი „ბაიერი“ დაასუსტა.

2. „ლივერპული“ (ინგლისი): ***მოვიდნენ*** — ელ-ჰაჯი დიუფი („ლანსი“), სალიფ დიაო („სედანი“), ბრუნო ჩერუ („ლილი“), ალიუ დიარა („ბაიერი“). ***წავიდა*** — გარი მაკალისტერი („ქოვენთრი“).

„ლივერპულის“ სელექციონერებმა მნიშვნელოვანი ტრანსფერი განახორციელეს. ინგლისურ კლუბში აღმოჩნდნენ სენეგალელი ვარსკვლავები — დიუფი და დიაო, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონატზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ორივე ფეხბურთელი „ლივერპულმა“ საკმაოდ იაფად შეიძინა — სულ 20 მილიონი დოლარი დახარჯა. თუკი აქამდე „ლივერპული“ პრემიერ-ლიგაში ძლიერი მეკარითა და „გაუვალი“ დაცვითი ხაზით გამოირჩეოდა, ახლა მთლიანობაში გუნდის ყველა რგოლი თანაბრად ძლიერია. ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობას დიდი არჩევანი აქვს თავდამსხმელთა (ოუენი, დიუფი, ჰესკი) და ჰავბეკთა (ჰამანი, დიაო, ჯერარდი, მერფი) შორის.

„ლივერპული“ ახლოს იყო მიზანთან, 12, 7 მილიონ დოლარად შეეძინა „ლიდსის“ მოთამაშე ლი ბოიერი, მაგრამ ეს ტრანსფერი ჩაიშალა იმის გამო, რომ თვით ფეხბურთელთან ვერ შეთანხმდა ხელფასის თაობაზე.

ახალი სეზონის დაწყებამდე, „ლივერპულმა“ ერთი ფეხბურთელიც რომ არ იყიდოს, მაინც პრემიერ-ლიგის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება.



*ანელკა ახლა „მანჩესტერ სიტის“ კუთვნილებაა*

3. „მილანი“ (იტალია): ***მოვიდნენ*** — იონ დალ ტომასონი („ფეიენოორდი“), კლარენს ზეედორფი, დარიო შიმიჩი (ორივე — „ინტერი“), სემ დალა ბონა („ჩელსი“), ***წავიდნენ*** — დემეტრიო ალბერტინი, ხავი მორენო (ორივე — „ატლეტიკი“), უმიტ დავალა („გალათასარაი“).

დანიური ფეხბურთის ვარსკვლავის ტომასონის მოსვლა მნიშვნელოვნად გააძლიერებს „მილანს“. გუნდის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ტომასონი — შევჩენკოს დუეტი სერია „ა“-ს მომავალ სეზონში უძლიერესი და შედეგიანი იქნება.

4. „მანჩესტერ სიტი“: ***მოვიდნენ*** — ნიკოლა ანელკა („ლივერპული“), მარკ ვივიენ ფოე („ლიონი“), სილვენ დისტინი („ნიუკასლი“), პეტერ შმეიხელი („ასტონ ვილა“), მიქელ ბიშხოფი („კოპენჰაგენი“), ტაირონ ლორანი („ვალენდამი“).

გიორგი ქინქლაძის ყოფილი გუნდი „მანჩესტერ სიტი“ კვლავ დაუბრუნდა პრემიერ-ლიგას და ახალი სეზონისათვის სერიოზული მზადება დაიწყო. გუნდის მაღალ მიზნებზე მეტყველებს წლევანდელი სატრანსფერო პოლიტიკა: გუნდში აღმოჩნდნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან ანელკა და შმეიხელი. კევინ კიგანის გუნდმა ანელკაში 16,9 მილიონი დოლარი გადაიხადა. სერიოზული შენაძენია, დისტინიც (6,5 მილიონი დოლარი), რომელიც საფრანგეთის განახლებული ნაკრების წევრობის რეალური კანდიდატია. საინტერესოა, რომ „მანჩესტერ სიტიდან“ ერთი ფეხბურთელიც არ წასულა.

5. „ინტერი“ (იტალია): ***მოვიდნენ*** — ფრანჩესკო კოკო („ბარსელონა“), მათიას ალმეიდა („პარმა“), დომენიკო მორფეო („ფიორენტინა“), ბერნარდო კორადი („კიევო“), კარლოს ალბერტო გამარა („აეკ“-ი), ***წავიდნენ*** — ვრატისლავ გრეშკო („პარმა“), კლარენს ზეედორფი, დარიო შიმიჩი (ორივე — „მილანი“).

ამგვარი შენაძენის მიუხედავად, „ინტერის“ თავდასხმა, ჯერჯერობით, უძლიერესია მსოფლიოში. მწვრთნელს ექტორ კუპერს იმედი აქვს, რომ რონალდო ისევე კარგად ითამაშებს სერია „ა“-ს ახალ სეზონში, როგორც მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზა.

6. „ბარსელონა“ (ესპანეთი): ***მოვიდნენ*** — ხუან-რომან რიკელმე („ბოკა ხუნიორსი“), ფაბიან კარინი („იუვენტუსი“), რობერტ ენკე („ბენფიკა“), მწვრთნელი ლუი ვან გაალი; ***წავიდნენ*** — ალფონსო („ბეტისი“), სერხი („ატლეტიკო“), აბელარდო („ალავესი“), მწვრთნელი კარლეს რექსაჩი.

ახალ სეზონში „ბარსელონას“ ლუი ვან გაალი წარუძღვება. განხორციელებულ ტრანსფერთა შორის მნიშვნელოვანია რიკელმეს შეძენა, რომელსაც მარადონას მემკვიდრედ თვლიან.



*რიკელმეს (მარჯვნივ) დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ...*

7. „ნიუკასლი“ (ინგლისი): ***მოვიდნენ*** — უგო ვიანა („სპორტინგი“), ტიტეს ბრამბლი („იფსვიჩი“); ***წავიდა*** — სილვენ დისტინი („მანჩესტერ სიტი“). „ნიუკასლმა“ 12 მილიონი დოლარი გადაიხადა „ახალ რუი კოშტად“ წოდებულ უგო ვიანაში, რომელიც პრემიერ-ლიგის ყველაზე ძვირადღირებულ თინეიჯერად აღიარეს.

8. „ატლეტიკო“ (ესპანეთი): ***მოვიდნენ*** — დემეტრიო ალბერტინი, ხავი მორენო (ორივე — „მილანი“), ფაბიო კოლოჩინი („ალავესი“), სერხი („ბარსელონა“), ემერსონი („დეპორტივო“).

9. „მიდლსბრო“ (ინგლისი): ***მოვიდნენ*** — მასიმო მაკარონე („ემპოლი“), ფრანკ კუედრუ („ლანსი“); ***წავიდა*** — პოლ ინსი (უკლუბოდ).

10. „ლაციო“ (იტალია): ***მოვიდნენ*** — ხუან პაბლო სორინი („კრუზეირო“), მასიმო ოდო („ვერონა“); ***წავიდნენ*** — კარელ პობორსკი („სპარტა“), ივან დე ლა პენია („პორტუ“).

# სკოლარი: «პელეს ფეხბურთის არაფერი გაეგება»

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა — ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუის ფელიპე სკოლარიმ გუშინ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ პელეს ფეხბურთის არაფერი გაეგება (!)

სკოლარის სიტყვებით, ნაკრების ბევრ ფეხბურთელს არ სურდა მსოფლიო თასი პელეს ხელიდან მიეღოთ.

„ფეხბურთის მეფისადმი“ უარყოფითი დამოკიდებულება გაჩნდა მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე პელემ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბრაზილიის ნაკრები და მიიჩნევდა, რომ სკოლარი და მისი შეგირდები ვერ შეძლებდნენ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას.



*სკოლარის (მარჯვნივ) საპატიო მედლით აჯილდოებს ბრაზილიის პრეზიდენტი*

სკოლარის აზრით, „პელეს გამოსვლა საფეხბურთო ანალიტიკოსის როლში არ შეიძლება, რადგან „ფეხბურთის მეფე“ ბევრ საკითხში უხეშ შეცდომებს უშვებს, ხალხს კი მისი სჯერა“.

# შუმახერი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია



**კვირას, საფრანგეთის ქალაქ მანი-კურის ავტოდრომზე ისტორიული ფაქტი დაფიქსირდა: მიხაელ შუმა-ხერი „ფორმულა — 1“-ის მორიგი ეტაპის — საფრანგეთის „გრან-პრის“ მოგებით მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი გახდა და ტიტულების რაოდე-ნობით ის გაუთანაბრდა არგენტინელ ლეგენდარულ ავტოპილოტს ხუან მანუელ ფანხიოს.**

საინტერესოა, რომ ეს ყველაფერი „ფორმულა — 1“-ის წლევანდელი სეზონის დასრულებამდე 6 ეტაპით (!) ადრე დაფიქსირდა, რაც ერთგვარ რეკორდსაც წარმოადგენს.

არადა, ისე ჩანდა, რომ შუმახე-რი მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონობას ერთი კვირის შემდეგ — გერმანიის საშინაო „გრან-პრიზე“ იზეიმებდა, თუ-მცა მისი ჩემპიონობა დააჩქარეს... მოწინაალმდეგეებმა. ფინიშამდე ოთხი წრით ადრე, პირველ ადგილზე მყო-ფმა კიმი რაიკონენმა, რომელიც გა-მარჯვებასთან ახლოს იყო, ერთ მო-სახვევში მიუტევებელი შეცდომა და-უშვა და მიხაელ შუმახერს საშუა-ლება მიეცა, ლიდერის პოზიცია და-ეკავებინა.

ამრიგად, წლევანდელი სეზონის გამარჯვებული ცნობილია. რაღა და-რჩა? საინტერესო ახლა, ალბათ, მხო-ლოდ მეორე ადგილისათვის რბოლა იქნება.

**საფრანგეთის «გრან-პრი»**
1. მიხაელ შუმახერი („ფერარი“) — 1:32.09,837
2. კიმი რაიკონენი („მაკლარენი“) — 1:32.10,942
3. დევიდ კულტჰარდი („მაკლარენი“) — 1:32.41,813
4. ხუან პაბლო მონტოია („უილ-იამსი“) — 1:32.50,513
5. რალფ შუმახერი („უილიამსი“) — 1:32.51,610

ერთი წრით ჩამორჩნენ: ჯენსონ ბატონი („რენო“), ნიკ ჰაიდფელდი („ზაუბერი“), მარკ უებერი („მინა-რდი“).

ორი წრით ჩამორჩა პედრო დე ლა როსა („იაგუარი“), ხოლო ოთხი წრით — ალექს იუნი („მინარდი“).

ფინიშამდე ვერ მიაღწიეს: ალექს მაკნიშმა („ტოიოტა“), ედი ირვაინმა („იაგუარი“), იარნო ტრულიმ („რენო“), ფელიპე მასამ („ზაუბერი“), მიკა სა-ლომ („ტოიოტა“), ჟაკ ვილნევმა („ბარი“), ოლივიე პანისმა („ბარი“) და ტაკუმა სატომ („ჯორდანი“).

რაც შეეხება მიხაილ შუმახერის კიდევ ერთ კონკურენტს — „ფერა-რის“ ავტოპილოტს რუბენს ბარიკე-ლოს, — ამ უკანასკნელმა სტარტზე გამოსვლაც ვერ შეძლო.

# იაპონიის ნაკრები მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე გავიდა



მორაგბეთა მსო-ფლიოს 2003 წლის თასის გათამაშების შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩში ია-პონიის ნაკრებმა დი-დი ანგარიშით 120:3 დაამარცხა ტოკანის ნაკრები და აზიისათვის გამოყოფილი მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალური ეტა-პის ერთადერთ საგზურს დაეუფლა.

მეორე ადგილზე გასული სა-მხრეთ კორეის ნაკრებს კი ფლეი-ოფის მატჩების ჩატარება მოუწევს ოკეანიის ზონის მესამე გუნდთან — ქართველებისათვის მწარედ მოსაგო-ნარ ტონგას ნაკრებთან.

# გამოვლინდნენ ფედერაციის თასის ნახევარფინალისტები



ჩოგბურთელ ქალთა შორის ფედე-რაციის თასის გათამაშებაში გამოვ-ლინდნენ ნახევარფინალის-ტები. მეოთხედფინალური ეტაპი წარმატებით განვლეს რუსმა ჩოგბურთელებმა, რო-მლებმაც მშრალი ანგარი-შით 5:0 დაამარცხეს ჩინელები. ასე-თივე ანგარიშით ესპანელებმა მიწა-სთან გაასწორეს გერმანიის ნაკრები – 5:0.

ავსტრიის ნაკრებმა 4:1 მოუგო ხო-რვატთა გუნდს, ხოლო სლოვაკებმა წარმატების არანაირი შანსი არ და-უტოვეს ფრანგ ჩოგბურთელ ქალებს – 4-1.

# ესპანური ფინალი

**კარლოს მოიას გამარჯვებით დასრულდა საერთაშორისო საჩოგბურთო ტუ-რნირი ხორვატიაში, რომლის საპრიზო ფონდი 381 ათასი დოლარი იყო. ფი-ნალში ესპანელმა ჩოგბურთელმა თანამემამულე დევიდ ფერერი დაამარცხა 6:2, 6:3.**

# კირანკმა „ტურ დე ფრანსის“ მე-14 ეტაპი მოიგო



ველოსპორტის სამყაროში პრესტიჟული ტურნირის „ტურ დე ფრანსის“ მორიგი – მეთოთხმეტე ეტაპი ფრანგი სპორტსმე-ნის რიშარ ვირანკის გამარჯვებით დასრულდა. მისი დროა 5 საათი, 43 წუთი და 26 წამი. ფავორიტად აღიარებული ლენს არმსტრო-ნგი მესამე მიიჭრა ფინიშთან.

# ხორვატმა იუნიორებმა ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს

**გერმანიაში დასრულდა იუნიორ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატი, რომლის ფინალში იუგოსლავური საკალათბურთო სკოლის ორი წარმომად-გენელი დაუპირისპირდა ერთმანეთს — ხორვატიის და სლოვენიის ნაკრებთა შეხვედრა მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ხორვატებმა ორი ქუ-ლის სხვაობით გაიმარჯვეს — 74:72 და ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლე-ბი დაისაკუთრეს. მესამე ადგილი დაიკავა საბერძნეთის ნაკრებმა, რომელმაც 82:67 დაამარცხა ლიტვის გუნდი.**



# რუსი გოგონები საუკეთესონი არიან

სლოვენიაში კალათბურთელ გოგონათა ევროპის პირველობა რუსეთის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა, რომელმაც ფინალში ანგარიშით 60:56 დაამარცხა საფრანგეთის ნაკრები. მატჩის გმირი გახდა მარინა კორპუნინა, რომელმაც რუსეთის ნაკრებს 22 ქულა შესძინა.

# სამხრეთაფრიკელმა ყველას აჯობა

სამხრეთაფრიკელმა ერნი ელსმა ყველაზე პრესტიჟული ტურნირი მოიგო გოლფში, — ბრიტანეთის ღია პირველობა. ელსმა დიდი უპირატესობით აჯობა კონკურენტებს ტომას ლევეს, სტივ ელკინგტონს და სტიუარტ ეპლბის.

# უიტლოკი დოპინგის ხმარებაში ამხილეს

**ბრიტანელი სიმაღლეზე მხტომელი ჯანინ უიტლოკი მონაწილეობას ვერ მიიღებს მძლეოსანთა თანამეგობრობის თამაშებში, რომელიც ხუთშაბათს მან-ჩესტერში იწყება. უიტლოკი აკრძალული პრეპარატის ხმარებაში ამხილეს და სადისციპლინო კომისიამ გაურკვეველი ვადით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.**

# ბერლინი საწყლოსნო სახეობათა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს

25 ივლისს ბერლინში იწყება ევროპის ჩემპიონატი სპორტის საწყლოსნო სახეობებში, რომელშიც შედის თავისუფალი ცურვა, სინქრონული ცურვა და წყალში ხტომა. შეჯიბრების ფავორიტებად გერმანელ და რუს სპორტსმენებს მიიჩნევენ.

# კობა ნიკოლაძე



გარეწრის ნასროლმა ტყვიამ 34 წლის ასაკში სიცოცხლეს გამოასა-ლმა ახალგაზრდა კობა ნიკოლაძე, რომელმაც თან გაიყოლა მრავალი განუხორციელებელი ოცნება.

13 წლისამ ვარჯიში დაიწყო თა-ვისუფალ ჭიდაობაში დამსახურებუ-ლი მწვრთნელის ომზარ შოშიტაშვი-ლის ხელმძღვანელობით. 16 წლისას უკვე მოპოვებული ჰქონდა „განთია-დის“ რესპუბლიკური საბჭოსა და ქ. თბილისის პირველობის სხვადასხვა სინჯის მედლები. იყო სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ოცნებობდა მაღალ სპორტულ ტიტულებზე.

ადრეულ ასაკში სპორტული ტრავმის გამო დაემშვიდობა აქტიურ სპორტს. თუმცა მას ხშირად ნახავდით სხვადასხვა ღონისძიებაზე, როგორც ჭიდაობის ჭეშმარიტ ქომაგს. მისმა შვილმა ლევანმაც, როგორც კი ჭი-დაობის სექციაში ჩარიცხვის ასაკმა უწია, უყოყმანოდ დაუკავშირა ბედი თავისუფალ ჭიდაობას.

**1997 წლიდან კობა არჩეული იყო ლისის საკრებულოს დეპუტა-ტად და გამგებლის მოადგილედ,** 2001 წლიდან ითავსებდა გამგებლის მოვალეობას, წლეულს, 2 ივნისიდან კი გამგებლად აირჩიეს. მოკლე ხა-ნში ბევრის გაკეთება მოასწრო, რი-სთვისაც საკრებულოში შემავალი სოფლების მცხოვრებთა ალალ პატი-ვისცემას და მადლობას იმსახურე-ბდა. სამწუხაროდ, არაერთი ჩანაფი-ქრი განუხორციელებლი დარჩა. ტრაგიკულ შემთხვევამდე სამი დღით ადრე ჭიდაობის ფედერაცია-ში შეუვლია, საჭიდაო დარბაზის მშენებლობის სურვილი გაუნდვია ფედერაციის ხელმძღვანელობისა-თვის. გახარებული ყოფილა, რომ მც-ხეთა — მთიანეთში პრეზიდენტის რწმუნებულს არმაზ შამანაურს და პარლამენტარ ბადრი ხატიძეს გა-მოუთქვამთ თანადგომა ამ საქმეში.

ბოროტთა ზრახვებს ემსხვე-რპლა თავისი ქვეყნის გულანთებუ-ლი პატრიოტი, მრავალი ადამიანუ-რი ღირსებებით შემკული პიროვ-ნება, ახალგაზრდა, რომელსაც არ დასცალდა ბოლომდე გახარჯული-ყო სამშობლოსა და ხალხის სამსა-ხურში.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია,
ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი.

დაკრძალვა სოფ. ლისში, 25 ივლ-ისს, 15 საათზე.

**საქართველოს სპორტის სახელმწი-ფო დეპარტამენტი, საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფე-დერაცია ღრმა მწუხარებით იუწყე-ბიან, რომ გარდაიცვალა საქართვე-ლოს დამსახურებული მწვრთნელი ტყვიის სროლაში, 1952 წლის ოლი-მპიური თამაშების მონაწილე**

**გიორგი ბექთაშევი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენე-ბულის ოჯახს**

# ლეკომ დორტმუნდის საერთაშორისო ტურნირი მოიგო



დაამარცხა რა ფინალურ შეხვედრაში ვესელინ ტო-პალევი, უნგრელმა მოჭადრაკემ პეტერ ლეკომ გაიმა-რჯვა დორტმუნდში გამართულ პრეტენდენტთა ტურნი-რზე. ეს გამარჯვება 22 წლის დიდოსტატისთვის უმნიშ-ვნელოვანესი მოვლენაა თავის სპორტულ კარიერაში.

# კროსვორდი № 56

თარაზულად: 1. წარსულში პროფესიონა-ლი მძიმე წონოსანი მოკრივე, 4. ცხენო-სნობის ხალხური სახეობა, 5. შეტევა ანუ... 7. ცნობილი უნგრელი ფეხბურთის სპეციალისტი, 8. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ქართული აბრევიატურა, 10. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი, 11. ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელი, მსოფ-ლიოს ჩემპიონი, 13. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე, 14. ძიუდოს „ჩოხა“. 16. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 17. სლოვენიის ნაკრების ფეხბურთელი, 18. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვეტერანი ლეგიონერი, 19. ფეხბურთში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ქვეყანა.

შვეულად: 1. ფეხბურთში გვერდითი მსაჯი, ასისტენტი, ანუ... 2. ტანვა-რჯიშული იარაღი, 3. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 6. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 9. თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი, რომელმაც შეცვალა იაკუშინი 1964 წელს, 10. „ლივერპულის“ ფინელი ლეგიონერი ფეხბურთელი, 12. ლეგენდარული ამერიკელი მორბენალი, 15. ძალოსნობის პროგრამა, 16. იტალიის საფეხბურთო კლუბი.




### კროსვორდი №55. პასუხები

თარაზულად: 3. შარა, 7. თამასა, 8. თასი, 9. კორტი, 11. ტოტი, 12. დაფა, 14. ალპინიზმი, 17. ლინკე, 18. ხელბურთი, 19. ლანჩავა.

შვეულად: 1. ზამორა, 2. ქარტია, 4. ხახალეიშვილი, 5. ათლეტიზმი, 6. პია, 10. სტოიჩკოვი, 13. ფაჩულია, 15. ლახტი, 16. მური, 17. ლუნა.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**23 ივლისი, სამშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ჩვენი ფეხბურთი (21.45), *ევრიკა,* მსოფლიო სპორტი (20.00), მე-9 არხი. მსოფლიო რაგბი (14.00), ***НТВ плюс футбол.*** უკრაინის ჩემპიონატი (13.15), გავიხსენოთ განვლილი სეზონი: ინგლისის ჩემპიონატი (15.00), ჩემპიონთა ლიგა 2001-2002 (17.15, 0.05), ლიბერტადორესის თასის მატჩების მიმოხილვა (19.20, 23.35), იტალიის ჩემპიონატი (21.50). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. ფედერაციის თასის მე-2 რაუნდი (15.30), კიკბოქსინგი (19.15), საცხენოსნო სპორტი „პრეზიდენტის თასი“ (20.15). *EUROSPORT.* ველორბოლა. „ტურ-დე-ფრანსი“ (11.30, 16.00, 23.00, 1.00), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი 19 წელზე ნაკლებ ახალგაზრდათა შორის (12.00, 14.00, 21.00).

**24 ივლისი, ოთხშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 22.30), ***НТВ плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი: იტალიის ჩემპიონატი (15.00), „ფუტბოლ მუნდიალი“ (16.45), ჩემპიონთა ლიგა 2001-2002 (17.15, 21.20), ესპანეთის (19.20) და უკრაინის (23.10) ჩემპიონატები. ***НТВ плюс спорт.*** საცხენოსნო სპორტი. „პრეზიდენტის თასი“ (16.20), სპორტული ცეკვები (0.50). ***EUROSPORT.*** ველორბოლა. „ტურ დე ფრანსი“ (11.30, 14.30, 21.45, 1.00). სამთო ველორბოლა (13.30). ფეხბურთი, ამხანაგური მატჩი (22.15).

**25 ივლისი, ხუთშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00), ***НТВ плюс футбол.*** ლიბერტადორესის თასი. ფინალი (13.15, 21.35), გავიხსენოთ განვლილი სეზონი: ესპანეთის ჩემპიონატი (15.20), ჩემპიონთა ლიგა 2001-2002 (17.10, 21.20), ინგლისის ჩემპიონატი (19.20), „ფუტბოლ მუნდიალი“ (21.05), რუსეთის ჩემპიონატი (1.05). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. მე-2 რაუნდის მიმოხილვა (20.15). წყალბურთი. მსოფლიო ლიგა. ვაჟები (20.45), ცურვა ღია წყალზე. ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში 25 კმ; ქალები (22.20). ***EUROSPORT.*** ველორბოლა. „ტურ-დე-ფრანსი“ (12.00, 16.00, 23.00, 1.00), კრივი (23.30).

# საჭადრაკო ამოცანა

ლ. ზალკინდი. 1907 წ.



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ეd2 1. ...კ:d2 2. ლf1X.
1. ...მფf4 2. ეf2X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com